

# დემოკრატიული საქართველო

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი პ ა რ ტ ი ე ბ ი ს ო რ გ ა ნ ო .

### შ ი ნ ა ა რ ს ი :

მეთაური—სამოქალაქო ომი.  
ინ—ლი—ახალის განსაცდელის წინაშე.  
კაქი—დიქტატურის სერხემალი.  
ილია ხუციშვილი—საბედისწერო გზით.  
—ლი—გ—საქართველო ციფრებით.

ა. მულგინი—უკრაინის საკითხი.  
ია—საბჭოთა საქართველოში.  
ზენ—საბჭოების ქვეყანაში.  
საქართველოს ამბები.  
რას სწერენ ბოლშევიკებზე და სხვ.

### ს ა მ ო ქ ა ლ ა შ ო ო მ ი

ცნობილია, რომ სამოქალაქო ომის მიზეზი ყოველთვის არსებული დესპოტიური რეჟიმი ყოფილა, და აპიტომ იტყვიან ხოლმე, რევოლუციონერთა შორის მთავრობა და მისი დამქაშნი ყველაზე ურევოლუციონერები არიანო. ერთის განსხვავებით, ყოველ შემთხვევაში: მაშინ როდესაც რევოლუციონერები შეგნებულათ ისახვენ მიზნად რეჟიმის დამხობას, მთავრობა, პირიქით, მის გადარჩენას ცდილობს, და, თუ მაინც ვერ გადაარჩინა ვერც რეჟიმი და ვერც თავის თავი, ეს მიეწერება მის შეუგნებლობასა და დაბრმავებას.

უნდა ითქვას, სტალინი ამაშიც გამონაკლის წარმოადგენს! ის თვითონ იწყებს სამოქალაქო ომს და მერმე როგორ? სრულიად შეგნებულათ, მეთოდურათ და, თქმა არ უნდა, მიღწევაც მეტი ექნება, ვინემ ჩვეულებრივ: დაამხობს არა მარტო რეჟიმს, დაშლის სახელმწიფოსაც, საიდანაც კვლავ გამოიჩეკება ჩვენი თავისუფლება...

ამბობენ, სტალინი დასაბამიაო, ჩვენც გვითქვამს ეს და საბჭოთიც მოგვიტანია, მაგრამ სხვა მიზეზიც უნდა იყოს მისი სიგიჟის გასამართლებელი. სტალინი ტროცკის პროგრამას ასრულებს, ხოლო უკანასკნელმა სთქვა ერთხელ: თუ წავაგეთ, კარს ისე გამოვიხურავთ, რომ ქვა ქვანედ არ დარჩესო. სწორეთ ასე, აღსასრულის წინ სტალინი ლამობს დიდი აურზაურს დაატრიალოს მთელს კავშირში, მოსრას და წალეკოს ყველაფერი.

აიღეთ ტერორი. ის იყო სამხედრო კომუნიზმის დროსაც, უამრავი ხალხი გამოასალმეს წუთისოფელს, მაგრამ დღევანდელი ტერორი არა ჰკავს მაშინდელს, მსხვერპლნი დღეს სხვანი არიან, მაშინ სხვანი იყვნენ. მაშინ ხვრეტდნენ ბურჟუებს, მემამულეთ, ოფიცრებს, მოხელეთ; დღეს კი ხვრეტენ გლეხებს, სპეცებს, თვით მუშებსაც.

წინეთ კლასობრივი მტერი ჰყავდათ ნიშანში

ამოღებული, ესლა არ ინდობენ თავის კლასსაც. მართალია, ერთი ახალი მტერი გამოიგონეს—«კულაკი», იმარჯვებენ მეორე და მესამე სიტყვასაც—«სპეკულიანტი», «მავნებელი», მაგრამ ამით ვერ დაფარვენ, რომ ებრძვიან მშრომელ ხალხს, ერთათ აღებულს, გამსჭვალულს წარმოუდგენელი სიძულვილით მათ მიმართ.

ვინ ებრძვის? მთავრობა? არა, ის თვით ძრწის ტერორის ქვეშ, გეპეუც ამსრულებელია. მაშ ვინა? პოლიტიკური, ან უკეთ—დიქტატორი სტალინი. პირბადე ჩამოიხსნება, გეპეუს განჩინებანი პოლიტიკურში მტკიცედებიან, ეს არის უკანასკნელი ინსტანცია, უზენაესი ჯალათი.

ტერორი ზევიდან იწვევს ტერორს ქვევიდან, გამწარებული გლეხები ხოცვენ შეუბრალებლათ ხელი-სუფლების წვრილფეხა აგენტებს. სამოქალაქო ომი ფაქტიურათ დაწყებულია სოფლად. ის არ არის ვისმესგან მოწყობილი, არც დაწყობილი, უწესრიგობა და ქაოსი მისი აუცილებელი თანამდევია.

კულტურული ელემენტები, შვედი და გერმანელი მიწის მუშაკნი გარბიან ცეცხლის წრიდან თავდასაღწევათ, ბერძენიც მათ კვალს მისდევენ. რჩებიან პირუტყვის დონემდე დაყვანილი ათეული მილიონები, რომელთა გმინვა და რტვინვა უკვე შორს აღწევს, საზღვარ გარეთ.

ცნობილი კომუნისტი კრეიქანოვსკი აშკარათ ამბობს: ჩვენ ვეწვეით ნამდვილ ომს გლეხებთან, უნდა წავართვათ მათ მთელი შემოსავლის (არ გეგონოთ შმინდა მოგების) ნახევარი და მოვანძაროთ ინდუსტრიალიზაციას. ბისმარკი ამბობდა თვითონ გაექანებაო. სტალინს გაუგონია ეს ფრაზა და სწერს მე-12 წლისთავზე: ჩვენ შევსვამთ ხალხს ავტომობილზე და ტრაქტორზე და მაშინ ვნახათ ვინ გაუსწრებს წინ, რუსეთი თუ კაპიტალისტური მსოფლიო. მარ-

თლაც, ის სერიოზულათ ათავსებს თავის ვიწრო გონებაში, ერთის მხრით, მცხოვრებთა 85 პროცენტის მიწასთან გასწორებას და, მეორეს მხრით, ქვეყნის ინდუსტრიალიზაციას.

ვისაც არ სჯერა, ჰკა მაგათ! ეს არის ბუხარინი პოლიტიკურიდან გამოაძევეს, რადგან კალამი გადაუტყდა, როცა ამ ბოღვის «ლენინურათ» დასაბუთება მოსთხოვეს. რიკოვსა და ტომსკის იმავე სასჯელით დაემუქრენ. თუ არ გასწორდებიან<sup>\*)</sup>. ესეც შენი მთავრობის თავმჯდომარე! ესეც შენი პროფკავშირების ბელადი!

პროფკავშირებიც ვერ არიან კარგ გუნებაზე, ჩუმ საბოტაჟს უწევენ სოფლის აწიოკებას. პოლიტიკურ რეჟიმში თათბირია, როგორ მოარჯულონ და ერთი ბედნიერი აზრი მოსდით: რალა საჭიროა პროფკავშირებია, ესენი ხომ კაპიტალისტების წინააღმდეგ დაარსდენ, ჩვენ კი კომუნისტები ვართ. სოციალისმს ვაშენებთ, მაშ ვისლა უნდა ებრძოლონო. ალბათ ჩქარა დააკანონებენ იმას, რაც იყო, პროფკავშირებს სახელმწიფო ორგანოებად გამოაცხადებენ და უშუალოდ დაუმორჩილებენ ფაბრიკა-ქარხნის სრულუფლებიან დირექტორს, პოლიტიკურს უბრალო მხევეს.

გამოუსავალია სპეცების მდგომარეობა, თუმცა ერთი გამოსავალი მაინც იპოვეს: ხოცვენ წაღმუკულმა, ან კიდევ «სწმენდენ» და ფიქრობენ «ვიღვიყენცების» ჩაყენებას მათ მაგივრად, რაც შეიძლება უმეცარო, რაც შეიძლება ერთგულად. ძვილი ისტორია: ბნელეთის მოტრფიალეთ არ ეჩვენებათ ინტელიგენცია, რომლის რიგები ისედაც ძალზე დაცხრილული იყო.

მაგრამ სანამდე? ყველა ეს ზომები, უფრო მკვეთრიც—გეპეუ და მისი მაუზური ვერ ააშენებს სოფელს, წასაგლეჯიც კლებულობს ძალაუნებურათ, სამხედრო და სამოქალაქო ბიუროკრატიას. პარტიულ აპარატსაც ხომ შენახვა უნდა, საიდან, როგორ? ჩერეოცი საშიშროთ ეცემა, არავითარი კრედიტი გარედან. გაკოტრება კარზედაა. ერთი ახალი წამალიც, კრემლი მოგანებაში მარდია! ინდუსტრიალიზაცია კი, მაგრამ არა ტიტველ ხალხისთვის ფაბრიკატების მისაწოდებლათ, არამედ გარეთ გასატანათ! მაშასადამე, ვალიუტა და კიდევ ვალიუტა—აი დაკვირითი ამოცანა.

ჩვენ ვსთქვით, სამოქალაქო ომი სოფლად დაიწყეთქო, მაგრამ ქალაქებშიც ხომ საშინლათ დაჭიმულია ძარღვები. არავინ იცის, რას მოუტანს ხვალისდელი დღე, რალაცას ელიან, შიშსა და იმედს მოუცავს ხალხი და ეს წინაგრძობა საერთოა ყველასათვის. არც დიქტატორს და მის დამქაშებს სძინავთ მოსვენებით, ყოველ წამს და ყოველ წრეში, საკუთარ ბუნავშიც ღალატი ელანდებათ. გეპეუს ჯალაზინ დაძრწიან ქუჩა-ქუჩა, ვინ არ ელის მათ სტუმრობას, ვინაა უზრუნველყოფილი? დახვრეტილთა რიცხვი მატულობს პროგრესიულათ, უმრავლესზე არავინ იცის, რისთვის, სრულ სიებსაც არ აქვეყნებენ. ერთი მოსკოვიდან ჩამოსული სპეცი ამბობს, შეიძლება

სუხარვის ხელზე მოვაჯრე დედაკაცების ხმამალა აყყანება ნაპერწკალივით დაეცეს დაგროვილ თოფიწამალს და ერთბაშათ აფეთქდესო.

ორიდან ერთი: აფეთქება ან გადატრიალება, შეიძლება ორივე ერთათ. წითელი ჯარი იზმორება. ეს მის საშინელი ამბები სოფლიდან, ტანში ყრუანტელი უფლის, გლეხები მზათ არიან აბეანდი დაუკავონ თუ ვინდ ვიგინდარას თეთრ ცხენედ შესასკუპებლათ. მაგრამ ნუ დაივიწყებთ, ბოლშევიკები არავის დაუთმობენ უბრძოლველათ მოედანს. სტალინი ალბათ მეორე ავტორიტეტსაც იმწმებს ბისმარკის გარდა—მარქსი და ლენინი დიდი ხანია სანგხვეში მიადგო!—შოთას: «სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა...»

ამ რიგათ, აფეთქება თუ გადატრიალება, ხოლო მსვლელობა ერთია: სამოქალაქო ომი, ანარქია, სტიქია. ანტიბოლშევიკური ძალების, მათი ბელადების დიდი პასუხისმგებლობა თავის თავათ ცხადია. გამჭირიან გონება, ნათელი მიზანი და მოქნილი ტაქტიკა—აი ჩვენი «დაკვირითი» ამოცანა.

რაა რუსების მიზანი. განურჩევლათ მიმართულებებისა? მთლიან რუსეთის აღდგენა. ერთისთვის მონარქიულის, მეორისთვის დემოკრატიულის, მესამისთვის ბოლშევიზანურის საბჭოებით უბოლშევიკობა, მაგრამ უმთავრესი თვითუფლისთვის მთლიანობა და არა წესწყობილება.

არარუს ერებს. პირიქით, ასულდგმულებს დამოუკიდებლობა, გამოთიშვა მთელი საგან, შინაური წესწყობილება გადაბმულია თავისუფლებასთან. რაც მეტია სამშობლოსათვის თავდადებულნი, რაც უფრო ჩათრეულია ფერხულში მთელი ხალხი, დემოკრატია, მით უფრო უტყუარია გამარჯვება.

ჩვენს წინ ისმის მთელი რიგი კითხვებისა, რომელსაც სათანადო პასუხი უნდა გავეცო, და რაც უფრო ადრე მოხდება ეს, მით უკეთესი. სანიმუშოთ შეგვიძლია რამდენიმე აქვე დავაყენოთ, არ ვკისრულობთ, რა თქმა უნდა, ყველასი ამოწურვას.

რამდენათ უზრუნველყოფილი ვართ გარედან ჩამორვეისაგან. ვინიციბაა გადამჭრელი მომენტი რომ დადგეს? წარსულის გაკვეთილები არ დაგვიწყნია. იმედია, ვიციით, როგორ უარყოფითათ იმოქმედა გარედან ჩამორვეამ ჩვენს სვებელზედ. ცხადია, თუ რა დიდი გამჭირიანობა და ენერგია გვეკვირება ამ ხიფათის თავიდან ასაცდენათ.

რამდენათ მჭიდროა ჩვენი დამოკიდებულება სხვა არარუს ერების მებრძოლ ძალებთან? უდალა, ცალ-ცალკე სუსტი ვართ, ერთათ—ძლიერნი. საბოლოო გამარჯვება დამოკიდებულთა იმაზე, შევძლებთ თუ არა მოხდენილათ გამოვიყენოთ ეროვნული მოძრაობა საბჭოთა კავშირში. კიდევ რომ მივალწიოთ განთავისუფლებას. გაგვიძნელდება მისი შენარჩუნება, თუ ჩვენს საზღვრებზედ არ გაჩნდენ სხვა დამოუკიდებელი სახელმწიფოები.

ყველაზე უფრო ჩვენ უნდა გვანტერესებდეს კავკასიის ფორნტი, რა სდება იქ, როგორია მფობლების მიდრეკილებანი, სულისკვეთება? გვაქვს თუ არა ყველა გარანტიები? კავკასიის მომავალი სახეობაც თითქო დავას არ იწვევს: კონფედერაცია. რა კეთდება ამ მხრივ, ვართ თუ არა მზათ?

<sup>\*)</sup> შენიშვნა: სამივემ მოწინაების არზა მიართვეს სტალინს.



მაგრამ კიდევ უფრო საზრუნავი, უფრო ახლო ჩვენი ქართული ფრონტია, რომელსაც ემსახურება თვით ეს გაზეთი. არის თუ არა ყველაფერი თავის რიგზე? საერთო ფრონტიდან გამოთიშული ჯგუფები და პირები თავს გვესმინან, თითქო არ ესმით, რომ წყალს ასხამენ მტრის ბორბალს, ამაგრებენ მის მტარვალობას.

ნურვინ იფიქრებს, რომ განმკითხავი არავინაა. არა, არის: საქართველო და ქართველი ერი, რომლის გამოუთქმელ ტანჯვა-წამების წინაშე ყველამ ქედი უნდა მოიხაროს, განთავისუფლდეს წაჯექ-

უკუჯექობისაგან და რაც ძალი და ღონე აქვს მიიტანოს სამშობლოს სამსხვერპლოვნად.

ერთი სიტყვით, კითხვები ბევრია, საქირთა ძალების მოკრეფვა მათ მოსაწესრიგებლათ, გადასაჭრელათ.

დრო არ იცდის. საბჭოების და აქედან საოკუპაციო ხელისუფლების ბატონობა თავის დასასრულს უახლოვდება. არის პოლიტიკურ მოღვაწეობაში ესა თუ ის დანაშაული, მაგრამ ყველაზე მიუტევებელი და გაუშართლებელი დანაშაული იქნებოდა, რომ მოუშადებელი და მოუშარაგებელი დახვდეთ სვლინდელ დიდ ამბებს.

ახალის განსაცდელის წინაშე

რა ჭირი არ გამოიარა, რა უბედურობა არ ნახა ჩვენმა საბრალო ქვეყანამ მას შესდევ, რაც რომ მოსკოვის დიქტატურამ ძალმოპოვებით ჩაითრია ის თავის ბოლშევიკურ ფერხულში. ასობით და ათასობით თავის შვილთა არხანგელსკის გუბერნიაში, სოლოვკაში და ციმბირში გადასახლება, ცალკე პირების და მთელის ჯგუფების დახვრეტა და სოცვა, სიმშილი.

ერთხელ იყო და გამწარებულმა და მოთმინებიდან გამოსულმა ხალხმა იარაღს მოჰკიდა ხელი, დამარცხდა უსწორო ბრძოლაში და, ვაი, რაც ამ დამარცხებას მოჰყვა. შურისძიების მსეტურის ინსტინქტით გამსჭვალულმა ხელისუფლებამ ჯავრი იყარა უმწეო ხალხზე და უმოწყალოდ გაავლო მას მუსრი, რამდენიმე დღის განმავლობაში რამდენიმე ათასი ხალხი გასწყვიტა. ასეთს ყოფაშია აგერ მეათე წელია ეს წამებული ქვეყანა. მაგრამ უარესის უარესი არ დაიღვეაო, ნათქვამია, და ჩვენს ერსაც დაუდგა უარესი დღე, მოსკოვის ხელისუფლებამ ახალს განსაცდელში ჩაადგო.

რუსეთი, მისი კონსტიტუციის თანახმად, საბჭოების სოციალისტურ რესპუბლიკათა კავშირია. კავშირი მოკავშირეთა ერთგვარ თავისუფლებას გულისხმობს. მაგრამ ასე არ ესმის მოკავშირეობა მოსკოვის ხელისუფლებას. რა განზრახვაც არ უნდა მოუვიდეს მოსკოველ დიქტატორებს თავში, რა პოლიტიკური თუ ეკონომიური მოსახრება, რა ზომა არ უნდა შეიმუშავონ, არაფრად დაგიდევნ მოკავშირე რესპუბლიკების თავისებურობას, მათ სხვადასხვაობას, მათ განსაკუთრებულ საზოგადოებრივ, ეკონომიურ და ბუნებრივ პირობებს, ყოველი ახალი წესი, კანონი და ზომა ავტომატურად ვრცელდება თეთრი ზღვიდან მოკიდებული სათათრეთისა და სპარსეთის საზღვრამდე და პოლონეთის საზღვრიდან მანჯურიაამდე, ერთის სიტყვით კავშირის მთელს სივრცეზე.

ასეთია უკანასკნელ დროს შემოღებული პურის დამამზადებელ კომისიების მიერ ხორბლის დაგროვება, «კოლხონები»-ს მოწყობა და ხუთწლიან ინდუსტრიალიზაციის გეგმა. რაკი ყოველივე ახალი წესი ავტომატურად უნდა ვრცელდებოდეს მთელს კავშირზე და მამასადამე საქართველოზედაც, საქართველოშიაც შეიქნა პურის დამამზადებელი კომი-

სიები, გროვდება ხორბალი, ეწყობა სასოფლო სამეურნეო კოლექტივები და გაჩაღებულია ინდუსტრიალიზაციის პროპაგანდა.

საბჭოთა სოციალისტურ სამფლობელოში, როგორც მოგეხსენებათ, მხოლოდ ერთი პარტია არის ცნობილი, და ამ პარტიას ეკუთვნის მთელი ძალა, უფლება და თავისუფლება, ამის და თანახმად მთელი პრესაც ამ პარტიის ხელშია, მის აზრებს ემსახურება და ამრიგად ყოველივე სხვა აზრი, სხვა მიმართულება და ნებისყოფა ჩაკლულია, დასამარებული და გარეგნად არ არსებობს. ასეა მთელს რუსეთში, ასეა საქართველოშიაც.

საქართველოს წითელი გაზეთი «კომუნისტი», რა კი ხელისუფლებამ ბრძანა მთელის რუსეთის და, მაშასადამე, საქართველოს გაინდუსტრიალება, მთელს რუსეთში და, მაშასადამე, საქართველოშიაც პურის დამამზადებელ კომისიების მოწყობა, მათ მიერ პურის დაგროვება და კოლექტივების დაარსება, მონურის მორჩილებით შეუდგა ყველა ამის ქადაგებას, გალობას და დიდებას.

აუაროთ გვერდი რუსეთის იმ სახით და იმ ვადაში გაინდუსტრიალების აზრს, რომელიც მხოლოდ ციებ-ცხელებით განხურებული ტვირის შექმლა წარმოეშობა ან გზადადნეულ, უპასუხისგებლო ყინიან თვითნებობას. მართალია, ამ უგნურ და მავნე აზრის ვითომდა განსაზოციელებლად ფულია საქირო; ეს ფული კავშირის მოსახლეობამ უნდა გამოიღოს და, მაშასადამე, ეს უბედურობა ქართველმა ხალხმაც უნდა განიცადოს, მაგრამ ამ უბედურობასაც გაუძლებდა კიდე როგორმე, სხვა უარესი რომ არ ელოდეს ჩვენს საცოდავს ქვეყანას. პურის დამამზადებასა და კოლექტივების მოწყობას მოგახსენებთ.

დაე, სწეროს ტფილისში ქართლის ასოებით აწყობილმა მოსკოველმა «კომუნისტმა» ინდუსტრიალიზაციის აუცილებელ საქიროებისა და ხუთ წელიწადში მის უქველ მიღწევის შესახებ. დაე, წარიტაცოს ამ აზრის საუცხოვო პერსპექტივებით და სოციალიზმის ასეთის მოკლე და მარტივის საშუალებით დამკვიდრებით. ამასაც გაუძლებდა, როგორც მოგახსენეთ, ადამიანი. ოღონდ, სხვანაირად გვალონებს და გვალეღვებს სხვა რამ; თავში ათასი შავი ფიჭვი გვებადება და გოულს უნუგვმოზა და უძლური ჯავრი მოგვიცავს, როდესაც იმავ გაზეთში ვკითხუ-

ლობთ პურის აკრებისა და კოლექტივების პროპაგანდას, წამების იმ ახალ საშუალებათა ქადაგებას, რომელიც ახალ უბედურებათა და განსაცდელთა მომასწავებელია ჩვენის ქვეყნისათვის.

რუსეთი, პურის მომყვანი ქვეყანა, დრტივინავს, ყოველის ძალოვნით ეწინააღმდეგება, და ჩვენის ქვეყნის ბატონ-პატრონნი, მისი ადგილობრივი მთავრობა და მისი პრესა, მის მაგიერ, რომ ყვირილი ასტეხონ და მოსკოველ დიქტატორებს დაანახვონ, რომ საქართველო აროდეს არ ყოფილა პურის განსაკუთრებულად მომყვანი ქვეყანა, რომ მეტწილად მას თავისი პური არა ჰყოფნიდა და გაჭედვან შემოჰქონდა, რომ საქართველო რუსეთი არ არის, სულ სხვაა მისის მეურნეობის ბუნება და ხასიათი,—ყველა ამის მაგიერ აღტაცებით ეგებებიან მოსკოველ ხელისუფლების ბქანებას და თავგამოდებით სცდილობენ მის სინამდვილედ ქცევას.

«კახეთის ოლქს მომდინარე წელში დაევალო 251.000 ფ. ხორბლეულობის დამზადება», სწერს «კომუნისტი» ამა წლის 13 ენკ. ნომერში და შემდეგ აგვიწერს, თუ როგორ სწარმოებს ეს დამზადება.

«ამ დღეებში დილა ადრიათ სოფ. ტიბანის გლეხობა დატვირთული(ს) ურმებით გაემგზავრა ქიზიყის ცენტრში, ქვემო მაჩხაანში. საუცხოვო სანახაობას წარმოადგენდა ეს მგზავრობა. წინ მიუძღოდა მუსიკა, მას მოჰყვებოდნენ სოფ. ტიბანის არტელის წევრები თავიანთი ხორბალით დატვირთულ ურმებით, შემდეგ ღარიბი და საშუალო გლეხობა.»

გაზეთი არა თუ არ არის აღწვთებული ამ დაკონტრირების მტაცებლობის სურათით, პირიქით ისეთის იდილიურის კილოთი აგვიწერს ამ სანახაობას, თითქო საბრალო ტიბანელები მართლად დიდის სიხარულით და თავის ნებით აბარებდნენ ვინ იცის რა გაჭირვებით და ვაი ვაგლახით მოყვანილ პურს.

მაგრამ რა გინდ სიცრუე სთქვას, რა საზეიმო კილოსაც არ მიჰმართოს, გაზეთი იძულებულია თავისსავე ფურცლებზე დაუთმოს ადგილი სინამდვილის ღალადს. «უნდა აღინიშნოს, სწერს გაზეთი იმავე ნომერში, რომ თვითაწვე პურის დამზადების კამპანიას თან სდევდა მრავალი დაბრკოლება... ამ დაბრკოლებათა შორის დამახასიათებელია... კულაკობის აშკარა წინააღმდეგობა... ნაწილობრივ კოლექტივების გულგრილობა»...

მკითხველი ხედავს კიდევ, რომ არც ისე სასიხარულო და საზეიმო ყოფილა პურის ჩაბარების ამბავი, როგორც გაზეთი მოგვითხრობდა. ოღონდ უფრო ნათლად წარმოუდგება ის უბედურობა, რომელსაც უქადის ქართველ სოფელს პურის ძალდატანებით ჩაბარების და კოლექტივების მოწყობა, როდესაც გაეცნობა იმავე «კომუნ.» 13 ენკ. ნომერში მოთავსებულ წერილს: «დიდ-ლილოს გაკვეთილები».

ამ წერილიდან ვგებულობთ, რომ «თბილისის მაზრა-ქალაქის სასამართლომ გუშინწინ დაამთავრა სოფელ დიდ-ლილოს სასოფლო-სამეურნეო კოლექტივ «ანეულის» მტრების საზოგადოებრივ საჩვენებელი გასამართლება».

ავტორი სჩივის, რომ

«სოფლის მეურნეობის სოციალისტურ სექტორის საბჭოთა და კოლექტიურ მეურნეობათა მოძრაობის გაძლიერებას და ღარიბ გლეხობის მატერიალურ მდგომარეობის გაუმჯობესობას წინ ელობება კულაკურ ექსპლოატატორულ და სოფლის სხვა ანტისაბჭოთა ძალების გამძაფრებული წინააღმდეგობა».

და ამ აზრის დასამტკიცებლად მოჰყავს კოლექტივ «ანეულის» ამბავი.

«კოლექტივის მუშაობა მიმდინარეობდა მეტად მძიმე პირობებში; ერთი მხრით სოფლის კულაკურ და ანტისაბჭოთა ელემენტების წინააღმდეგობა, ხოლო მეორეს მხრით ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციაში მოკალათებულ უცხო ელემენტების მიერ კოლექტივის ხელმძღვანელობის ლანძღვა-გინება, დაცინვა და სხვ... ამ აგიტაცია-პროპაგანდამ, რომელსაც ხელს უწყობდა ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციის სათავეში მდგომი «გაწითლებული მამასახლისი» იოსებ ხოდუნაშვილი, შეასუსტა ის, 44 წევრის შემადგენლობიდან გამოვიდა 20 გლეხი, და კოლექტივი «ანეული» თანდათან დგებოდა დაშლისა და დანგრევის ვაზზე... 1929 წელს შემოდგომისათვის «ანეულმა» მოჰკა 5.000 ფუთამდე პური, რომლის ნახევარი კოლექტივის წევრებმა აიტანეს კალოზე. 5 აგვისტოს ამ კალოზე მიტანილ პურს ცეცხლი წაეკიდა და... «გაწითლებულ მამასახლისს, პარტიისა და ხელისუფლების მტერს, გაკულაკებულ იოსებ ხოდუნაშვილს სოფ. დიდ-ლილოში კოლექტივ «ანეულის» წინააღმდეგ წარმოებულ აგიტაციისა და კოლექტივის ქონებისთვის ცეცხლის წაიდებისათვის მიესაჯა სოციალურ დაცვის ღონისძიების უმაღლესი ზომა, დახვრეტა.»

ამ ამონაწერის ყოველივე სიტყვა ღრმად დამაფიქრებელია და დიდად დამაღონებელი.

მიუხედავად იმისა, რომ ტიბანელები მუსიკის ხმაზე აბარებდნენ დასამზადებელ პუნქტზე წითლად მორთულ ურმებით მიტანილ პურს, თავში შავი ფიქრები უტრიალებდათ და გულში დარდი, უეჭველია. «კოლექტივის მუშაობა მეტად მძიმე პირობებში მიმდინარეობდა»-ო, ამბობს თვით წერილი, და ადვილი გამოსაცნობი ხდება, თუ რა იყო ეს ძნელი პირობები. ეს იყო სოფლის უკმაყოფილობა. თუ არ მთელის საზოგადოების, სოფლის მთელ მუშა ხალხის წინააღმდეგობით, მაშ რითი აიხსნება, რომ კოლექტივს თავს ანებებს მის შემადგენლობის ნახევარი და თვით კოლექტივი დაშლის და დანგრევის ვაზს ადგება? კულაკებისა და ანტიბოლშევიკურ ელემენტების აგიტაცია-პროპაგანდით? წერილის ავტორს ფიქრდაც არ მოსდის, გაიჩკვეს, რა სულისკვეთება უნდა იყოს ხალხში, თუ წარმოუდგენელ ტერორით შეპყრობილ ქვეყანაში, «სოციალურ დაცვის-უმაღლესს ზომის» ლულებ გულზე დადებული ვინმე აგიტაციას ბედავს; ვერ გარკვეულა და ვერ მიმხვდარა, რომ ყოველი უგნური წესი და მავნე კანონი თავისსავე არსებაში ატარებენ თავის წინააღმდეგ აგიტაციას და რომ ამიტომ ანტიბოლშევიკები —ეს ხომ მთელი საქართველო და «კულაკი» კიდევ მოსკოველ ხელისუფლების მიერ მოღონილი სახელი, რომლითაც მან მონათლა თავისი მოსისხლე მტერი,

გლენი, რომელსაც რაღაც აბადია და არ სურს ხელისუფლებას თავი გააძარცვინოს.

საქართველო თვითონ არის დამშეული; საკვებ ნივთიერების ნაკლებობისა და ზოგჯერ მის უვარგისობის გამო ხალხს რაღაც ახალი ავადმყოფობა გასჩენია, და ამ დროს ხელისუფლება ძალას ატანს, პური ჩაგვებარეო, ნათესების სივრცე გაადიდეო, რომ გაისად უფრო მეტი წაგაგლიჯოო. რა საკვირველია, რომ ასეთმა ვითარებამ ხალხში უკმაყოფილება გამოიწვიოს, რომ კოლექტივები, ეს ვითომ და სოციალიზმის მიღწევა და ნამდვილად კი ისეთის ორგანიზაციების შექმნა, რომელთაც ძარცვა-გლეჯა უნდა გაუადვილონ ხელისუფლებას. დაშლის და დაზარალების გზას ადგებიან. 44 წევრის შემადგენლობიდან 20 გლეხი გავიდა. არ გეგონათ, დარჩენილებში ერთი რომელიმე იყოს კოლექტივის მომხრე. ოცი წევრის გასვლა იმის ნიშანია, რომ მხოლოდ ოცი წევრი გამომდგარა ისეთი გაბედული, რომ არ მორიდებია ხოდუნაშვილის ბედს. და ყველას ხომ ვერ მოვსთხოვთ ასეთ გამბედაობას. თვით იოსებ ხოდუნაშვილი კი, ამ გაბედულთ შორის უფრო გაბედული, პრრველი მსხვერპლია იმ უბედურობისა, რომელიც თავს დაატყდა და ახალ განსაცდელს უმზადებს ქართველ ერს.

რუსეთი ვერ ეგუება პურის დამზადების კამპანიას, ვერ ეგუება ის ქვეყანა, რომელსაც ყოველთვის იმაზედ მეტი მოჰყავდა პური, რაც თვითონ სჭირდებოდა. როგორღა შეეგუოს მას ჩვენს სოფელი, რომელსაც თავისთავის შესანახიც კი ძლივს მოჰყავს. და აკი პირველსავე ცდას უკვე მოჰყავდა პირველი მსხვერპლი. რუსის სოფელი ეწინააღმდეგება მძარცველ ხელისუფლებას, მის «კოლხოზებს», ეწინააღ-

მდეგება ქართული სოფელიც, და აქ არის, რომ შიში გვეპარება, ამ წინააღმდეგობაში ჩვენმა გლეხმა არ გაუსწროს რუსის გლეხს; მეტად არ აჰყვეს სამართლიან გულის წყრომას. თორემ მაშინ ხომ ხოდუნაშვილთა რიცხვი იმატებს და ვინ იცის, სადამდე ავიდეს. რუსეთში ხოდუნაშვილისებურ ელემენტების გამრავლება დიქტატურის აღსასრულს ნიშნავს, ხოლო ჩვენში განსაცდელი თვით ერს მოეღოს.

აი, ასეთ საშინელ განსაცდელის წინაშე სდგას ქართველი ერი, უმწეო და უპატრონო, და არა სჩანს არავინ, რომ დაარბიოს, ნუგეში სცეს და გამოესარჩლოს.

ადგილობრივი ხელისუფლება, მსოფლის ყურმობურილი ყმა, თავის ბატონებს შესცქერის და მაიმუნისებურ იმეორებს მათ სიტყვებს და, რაც უარესია, მათ საქმეთაც, რომელთა შორის დიდი ადგილი უჭირავს «სოციალურ დაცვის ღონისძიების უმაღლეს ხომას».

საზოგადოება. ერის უკეთესნი შვილნი... ზოგს იმავე «სოციალურ დაცვის უმაღლესმა ზომამ» მოულო ბოლო, ზოგს ჩრდილოეთის ყინვამ. და ვინც გადაარჩა, რა უფლება გვაქვს უნაყოფო მსხვერპლი მოვსთხოვოთ.

პრესა... განა არსებობს? გაგიგონიათ ისეთი პრესა, რომელიც მუდამ და ყველაფერში თანახმა იყოს მხოლოდ და მხოლოდ ხელისუფლებისა?..

ისევე შორიდგან თუ მივაწვდით ჩვენს წამებულ ძმებს თანაგრძობის სიტყვას და ნუგეშის ხმას, ისევე ჩვენ თუ დავარიგებთ ჩვენს კარგს მამაც ერს:

«ჭირსა შინა გამაგრება ისე უნდა ვით ქვითკირსა» ამიტომ ზოგჯერ

«საცა არა სჯობს, გაცლა სჯობს.»

ინ—ლი.

### დ ი შ ტ ა ტ უ რ ი ს ხ მ რ ხ მ მ ა ლ ი

ბოლშევიკურმა დიქტატურამ რუსეთში 12 წლის ისტორიის მანძილზე მრავალი ცვლილება განიცადა. არც თავისი მიზნით და არც თავისი პირადი შემადგენლობით, იგი დღეს ის არ არის, რაც იყო თავისი ისტორიის დასაწყისის პირველ პერიოდში.

1917 წელს ბოლშევიკები იბრძოდნენ ხელისუფლებისთვის იმ მიზნით, რომ ამ გზით მათ თავისი იდეის განხორციელების საშუალება მისცემოდათ. ამაში არაფერი ცუდი და დასაძრახისი არ არის. ყოველი კლასი და პარტია ცდილობს დაიპყრას ძალაუფლება, რათა ამით მას საშუალება მიეცეს, ცხოვრებაში პრაქტიკულათ გაატაროს ის იდეა, რომელსაც ემსახურება.

ბოლშევიკებმა ძალა-უფლების ხელში ჩაგდება შესძლეს, ხოლო თავისი იდეის განხორციელება—ვერა. რუსეთის მწარე სინამდვილემ მათ უტოპიურ განზრახვებს ცივი წყალი გადაასხა და დამარხა. ამის შემდეგ ბოლშევიკი იბრძვის არა უტოპიური იდეისთვის, არამედ რეალურ სინამდვილისთვის—ძალაუფლების შესანარჩუნებლათ. ამიტომ მათ ხელში საშუალება იდეთ გადაიქცა, ხოლო იდეა—საშუალე-

ბათ. მაგრამ დიქტატურის პროფილი მარტო ამით არ ხასიათდება. ბოლშევიკების დროშის ქვეშ ძალაუფლებისთვის მეტროქოლთა შემადგენლობა, 12 წლის განმავლობაში, ერთი და იგივე არ არის, შეიცვალა თავისი შემადგენლობით, როგორც ბოლშევიკური ხელმძღვანელი შტაბი, ისე—ბოლშევიკური რაზმი.

ჩემის აზრით ბოლშევიკურმა დიქტატურამ ოთხი პერიოდი განვლო. პირველი პერიოდი არის აღვირწახსნილი სტიქიური რევოლუციონური ძალების ბატონობის ხანა, მეორე—კომუნისტური პარტიის, მესამე—კომპარტიის აპარატის და პოლიტიბიუროსი და მეოთხე—პიროვნული, ანუ სტალინის.

პირველ პერიოდს ახასიათებს მუშების, ჯარისკაცებისა და გლეხების მასების სოციალურ-პოლიტიკურ მოთხოვნილებებისთვის სტიქიური ბრძოლა.

პოლიტიკურათ მოუშეშებელი და შეუკავშირებელი მასების მაქსიმალური არიან გატაცებული და ბოლშევიკებიც თავის ლოზუნგებსა და მოქმედებას მას უფარდებენ, მაგრამ ამავე დროს ცდილობენ სტიქიურ მოძრაობას ორგანიზაციული ხასიათი მისცენ და იგი თავის იდეას დაუმორჩილონ. მიუხედა-

ვით ამისა, უმეტეს შემთხვევაში ისინი სტიქიას მის-  
ჩანჩალებენ კუდში. რევოლუციონური კლასები—  
მუშები და გლეხობა რევოლუციონური სტიქიური  
მაქსიმალიზმით არიან მთვარელი, ბოლშევიკები კი,  
გამოფხიზლების მაგიერ, კიდევ უფრო აბრუებენ მა-  
სებს თავისი დემაგოგიური ლაშუნგებით. ეს ბოლ-  
შევიკებს საშვალებას აძლევს გახდენ სტიქიური მო-  
ძრაობის იდეოლოგიათ და ხელმძღვანელათ. ამ პერი-  
ოდში რევოლუციონური მასები და ბოლშევიკები  
ერთათ არიან, ერთათ მიდიან და მიიმღერებენ. მასე-  
ბი ამ დროს ბოლშევიზმის მთავარ დასაყრდნობ  
ძალას წარმოადგენენ. და რამდენათაც ბოლშევიზმი  
ამ რევოლუციონურ კლასებთან ერთათ იბრძვის ძვე-  
ლი რეჟიმის დამცველთა წინააღმდეგ და რაზმავს მათ  
ორგანიზაციულათ, იმდენათ იგიც რევოლუციონურ  
როლს ასრულებს.

ამ ხანის საბჭოები და რევკომები უეჭველია რე-  
ვოლუციონური კლასების ორგანიზაციის წარმოდ-  
გენენ. მუშების და გლეხების დიქტატურა ფაქტიუ-  
რათ არსებობს და არა ბრჭყალებში, როგორც შემ-  
დეგ მოხდა. ამ პერიოდში საბჭოური ორგანიზაციე-  
ბი ჩრდილავენ პარტიულს. მხატრულ დიქტატურა-  
ში რევოლუციის სტიქიის ეს პერიოდი ყველაზე უფ-  
რო მკაფიოთ ბლოკმა ასახა თავის პოემა «თორმე-  
ტში».

II.

მაგრამ ასეთი ურთიერთობა კომპარტიასა და  
რევოლუციონურ კლასებს შორის დიდხანს არ და-  
ჩენილა. კონფლიქტი მათ შორის პირველ ხანები-  
დანვე დაიწყო, ხოლო გარკვეული სახე მხოლოდ  
მას შემდეგ მიიღო, რა რომ თეთრი გენერლების მო-  
ძრაობა დამარცხდა და გლეხობა მიწას დაეპატრონა.  
საქმე იმაშია, რომ, მიუხედავათ იმისა, რომ ბოლშე-  
ვიკები მსოფლიო სოციალური რევოლუციის მეზა-  
ირაღეთ გამოდიოდენ, ისინი ფაქტიურათ იბრძო-  
დენ მხოლოდ ფეოდალური ნაშთების წინააღმდეგ რუ-  
სეთის ფარგლებში. ამიტომ ამ ხანის ხელისუფლება  
მართლა საბჭოურია და არა პარტიული. მუშების  
და გლეხების ფართო მასები ბოლშევიკურ ხელის-  
უფლებას თავისათ სთვლიან. მაგრამ მას შემდეგ,  
რაც რომ რუსეთის რევოლუციის ამოცანა გადაჭრი-  
ლი შეიქმნა, კომუნისტებსა და მასებს შორისაც და-  
იწყო აშკარა კონფლიქტი. ყველაზე უფრო აშკარა  
გამოხატულება ამ ბრძოლამ კრონშტადის აჯანყება-  
ში პოვა.

ბოლშევიკებისთვის მუშებისა და გლეხების მა-  
სები უკვე სანდო აღარ არიან. მეორეს მხრით არც  
თვით ეს მასები თვლიან მასს თავის პარტიათ და  
ამბობენ: ბოლშევიკები კარგი იყვენ, ხოლო კომუ-  
ნისტები ცუდი არიანო. და აი, ამ, «ცუდ კომუნი-  
სტებს» ებრძვიან ისინი ყოველი საშუალებით. ყოველ  
შემთხვევაში, ამის შემდეგ მუშებისა და გლეხობის  
სიმპატია და თანაგრძნობა, კომუნისტებისკენ არ  
არის.

ამ რიგათ დიქტატურას მთავარი დასაყრდნობი  
ყავარჯენი ხელიდან ეცლება, მისი ფუძე თანდათან  
ვიწროვდება და ბოლოსდაბოლოს მარტო პარტიუ-

ლი ხალხით ისაზღვრება. ამის გამო პარტიულ ორ-  
განიზაციებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლე-  
ვა. წინეთ თუ ისინი მარტო პრინციპიალურ კითხვე-  
ბის გადაჭრაში იღებენ მონაწილეობას და აგიტაცია-  
პროპაგანდით კმაყოფილდებოდენ, ესლა ამას აღარ  
სჯერდებიან და სახელმწიფოებრივი საკითხების გა-  
დაჭრაში პრაქტიკულათ ერევიან. საბჭოური ორგა-  
ნიზაციები იჩრდილება და პარტიული წინა რიგში  
დგება. პარტიული უჯრედი და კომიტეტი არის ყვე-  
ლაფერის შემძლე და ამავე დროს პასუხის მეტელი  
ცენტრის წინაშე და არა საბჭო და სახელმწიფო და-  
წესებულება.

პარტიის ასეთი დიდი როლი იწვევს მისადმი  
ლტოლვას. კომპარტია სწრაფათ იზრდება, ანუ უკეთ  
რომ ესთქვათ, იბერება და სივდება. პარტიაში შე-  
დის ყველა კლასებიდან გამოსული უპრინციპო და  
ავანტურისტული წყლემენტი. აქ თქვენ შესვდებით:  
ყოფილ მონარქისტს, ყოფილ პოლიციელს, ყოფილ  
ჟანდარმს, ყოფილ თეთრგვარდიელს, ყოფილ ესერს,  
ყოფილ მენშევიკს და სხვას, რომლებიც საბჭოურ  
დაწესებულებებში და ზოგჯერ პარტიულშიც, ხელ-  
მძღვანელის როლს ასრულებენ. პარტია იზრდება  
იმიტომ, რომ იგი ერთათ ერთი ორგანიზაცია არის,  
რომელიც ანიჭებს პრივილეგიებს საბჭოთა მოქა-  
ლასებს.

კომპარტიის გაბერვის სურათი ციფრებით ასე-  
თია: კომუნისტური სტატისტიკის ცნობით თებერ-  
ვლის რევოლუციამდის ბოლშევიკების პარტიის  
წევრთა რიცხვი უდრიდა 8,487 კაცს, ხოლო შემდეგი  
ზრდა ასეთნაირათ მიმდინარეობდა:

1917—1918	შევიდა—	74.299
1919—1923	„	208.375
1924—1925	„	304.084.
1926—1927	„	254.314
1928	„	233.032.

ეს ციფრები გვიჩვენებენ, რომ კომპარტიის ზრდა  
სამოქალაქო ომის პერიოდში უფრო მცირეა, ვინემ  
დიქტატურის შემდეგ პერიოდში. და ეს მაშინ, როცა  
კომისრები კომმუნისტებმა შესცვალეს, პარტიას მი-  
აწყდა ყველა ის ელემენტი, რომელიც არსებობის-  
თვის ბრძოლაში, ბრძოლის საშუალებას არ არჩევს.  
ცხადია კომპარტიის ასეთი ზრდა არის არანაორმა-  
ლური, იძულებითი, და ხელოვნურათ შექმნილ ეკო-  
ნომიურ და პოლიტიკურ პირობების გამო გამო-  
წვეული.

რომ ამ ხალხის დიდი უმეტესობა იდეური მოსა-  
ზრებით არ შედიოდა კომპარტიაში, არამედ უტი-  
ლიტარულით, სჩანს შემდეგი ფაქტიდან. საკანტრო-  
ლო კომისიის თავმჯდომარის ამხანაგის ე. იარო-  
სლავსკის ცნობით 1921 წ. პარტიის წევრდის დროს  
გავიდა და გაირიცხა პარტიიდან 174.900 კაცი, ე. ი.  
პარტიის შემადგენლობის 30 პროც., 1929 წ. ი ელი-  
სამდის—260.144 კაცი, სულ 1921 წლიდან ამა წლის  
იელისამდის—435.044 კაცი. ამ რიგათ გარიცხულთა  
არმია უდრის თითქმის პარტიის საერთო წევრთა  
ნახევარს. რასაკვირელია გარიცხულთა შორის არიან  
იდეური ხალხიც, განსაკუთრებით უკანასკნელ წმენ-  
დის დროს ოპოზიციონური ელემენტებიც მოყვენ



მათ რიცხვში, მაგრამ საერთოთ კი დიდ უმეტესობას, როგორც თვით იაროსლავსკი ამბობს, შეადგენენ «აშკარა დამნაშავეთა ელემენტები» («კომუნ.» 9 მაისი 1929 წ.).

ასეთი არის გარიცხულთა დიდი უმეტესობა, მაგრამ სად არის გარანტია იმისი, რომ კომპარტიის დარჩენილები უკეთესები არიან გარიცხულებზე! ანდა ახლად მიღებულები კიდევ უფრო უარესი არ აღმოჩნდებიან! არც ერთ პარტიაში დედამიწის ზურგზე ასეთ მოვლენას ადგილი არ აქვს. და არა იმიტომ, რომ «დამნაშავე» ელემენტებს პარტიები ხელს აფარებდნენ. არამედ იმიტომ, რომ დამნაშავე ელემენტები თვით გაუბრძან პარტიებს, რადგან დაწმუნებული არიან, რომ ისინი პარტიას ვერ ისარგებლებენ და იქ თავს ვერ შეაფარებენ. ამიტომ არც ერთმა პარტიამ ასეთი «მასიური წმენდა» არ იცის. ამიტომ ძვირათ შესვდებით სხვაგან თქვენ, გარდა საბჭოთა კავშირისა, ისეთ პროცესებს როგორც არის—ასტრახანის, ბაქოსი, აჭარისტანის, სამხრეთ ოსეთის, სადაც პარტიის გუშინდელ ხელმძღვანელებს დღეს როგორც სისხლის დამნაშავეთ ისე ასამართლებენ.

მართალია, პოლიტიურად ცდილობს გაამუშუროს პარტია და ამ მიზნით გაწვევის წესითაც კი შეყავთ მუშები პარტიაში, მაგრამ საბოლოოდ საქმეს ეს მაინც არ შევლის. 1928 წლის 1 ივლისს საკავშირო

კომპარტიის წევრთა და კანდიდატთა სოციალური შემადგენლობა ასეთი იყო:

მუშები	559.097	ანუ	42,4	პროც.
გლეხები	162.063	„	12,3	„
მოსამსახურენი	461.175	„	35	„
დანარჩენები	135.034	„	10	„

\*) 1.317.369 ანუ 100 პროც.

თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ გაწვევის წესით პარტიაში შედიან უმთავრესათ ისეთი მუშები, რომლებიც იდეურად ნაკლებათ მომზადებული არიან და აგრეთვე იმას, რომ უმეტესობა მთავანი ცდილობს დაზგის მუშიდან «პორთფელის მუშა» გახდეს, ჩაშინ ჩვენთვის ნათელი გახდება მათი მნიშვნელობა პარტიაში. უეჭველია პარტიაში უფრო დიდ როლს თამაშობენ მოსამსახურენი და «დანარჩენები», რომლებიც ერთათ 45 პროც. მეტს შეადგენენ. მათით არის გაქედლი უმთავრესათ საბჭოური და პარტიული აპარატი და «დაწინაურებული მუშაც» მათ აზროვნებას ითვისებს. სესინები, პანკოვები და პრახოროვები ატრიალებენ პარტიას და წარმოადგენენ მის ხერხემალს.

(დასასრული იქნება)

კაჟი.

\*) ეს ცნობა ამოღებულია «პრავდას» 1928 წ. 21 ნომბრის ნომერში.

### ს ა ბ ე ლ ი ს წ ი რ ო მ ზ ი თ

მაკდონალდის მთავრობამ აღადგინა დიპლომატიური ურთიერთობა მოსკოვთან. პოლიტიურად აგენტებს ისევ ეძლევათ საშვალეობა მოიკალათონ ლონდონში. მოსკოვოფილური პოლიტიკა ხუთი წლის უკან საბედისწერად შეიქნა ინგლისის მუშათა პარტიისათვის, დღეს იმავე სახიფათო გზაზე შედგომა.—რაშია საქმე? ამბობენ, ინგლისელები პრაქტიკული ხალხია და სწორედ პრაქტიკულ სინამდვილეს უნდა ეკარნახა ინგლისის დღევანდელ მართველებისთვის მოსკოვის მიმართ უფრო რაციონალური და წინდახედული პოლიტიკა.

საბჭოების რეჟიმი დღეს კარგათაა შესწავლილი, მისი ანტისახელმწიფოებრივი და ანტიკულტურული ბუნება ყველასათვის აშკარა დასანახია.

კონსერვატორებმა «ასჯერ გაზომის» შემდეგ გასწყვიტეს ბოლშევიკურ მთავრობასთან დიპლომატიური კავშირი, რადგან იგი ნივთიერათ უსარგებლო და პოლიტიკურათ მრავალ გართულებათა წყარო იყო.

მაკდონალდი წინააღმდეგ ფაქტებს. მით უარესი მისი მთავრობისათვის.

ბოლშევიკები ის იქნებიან ხვალ, რაც ამ თორმეტი წლის განმავლობაში იყვნენ. რადგან, როგორც ნათქვამია, არ გათვთრდება ყორანი, რაც უნდა ხეხა ქვიშითა.

ბოლშევიკურ მთავრობას არასოდეს განუზრახავს გულწრფელი თანამშრომლობა სხვა ქვეყნებთან, ყოველივე ურთიერთობა მათთან მის მიერ გამოყენებულ იყო პოლიტიურად კომბინაციების განსახორციელებლათ.

და დღეს ყველასათვის აშკარა უნდა იყოს, რომ მოსკოვი «თავის ისტორიულ მისიაზე»,—მსოფლიოს სოვეტიზაციაზე,—ხელს ვერ აიღებს.

მსოფლიო რევოლუციის იდეით საზრდოებს საბჭოების ხელისუფლება, მოაცილეთ მას ეს იდეა, მის არსებობას ყოველივე მორალური ბაზა დაეკარგება. თუ მილიარდები ეკარგება რუსეთს, თუ ხალხი დამშეულია, აზრი დევნილი, პიროვნება დატუქსული, თუ ათი ათასები დაიხვრიტა და იხვრიტება, დაიღუპა და იღუპება ციხეში თუ ციმბირის მივარდნილ კუთხეებში,—რა არის ყველაფერი ეს იმ შევება-ბედნიერებასთან, რომელსაც მსოფლიო კომუნისტური რევოლუცია ქვეყანას მოუტანს და რომლის მეტაბოლიზმა განგებამ მოსკოვს არგუნა,—ამ მართლმორწმუნე ბოლშევიკის სულის კვეთება და აზროვნება. ამ სულის კვეთებანა აგებული მოსკოვის საშინაო და საგარეო პოლიტიკა. და ყოველივე ხელშეკრულება ამ პოლიტიკის საწინააღმდეგო დადებულა ამა თუ იმ სახელმწიფოსთან, უბრალო ნაგლეჯი ქალაქია და მეტი არაფერი. ამას არც ფარავს მოსკოვი. ჰენდერსონის განცხადებაზე. რომ მუშათა პარტიის მთავრობა მესამე ინტერნაციონალს სთვლის მოსკოვის მთავრობასთან დაკავშირებულ ორგანიზმით და კომუნისტური პროპაგანდა, რა სახითაც არ უნდა იყოს იგი, აკვეთილი იქნება, «იზვესტია» კატეგორიულ პასუხს იძლევა: ბატონი ჰენდერსონი უშვებს დიდ შეცდომას, როდესაც ამტკიცებს, რომ საბჭოების მთავრობის ერთი მოვალეობათაგანი პროპაგანდის შესახებ არის კომუნისტური ინტერნაციონალის



კონტროლი. საბჭოებს არასოდეს აღუთქვამთ და არც შეუძლიათ აღთქმა კომუნისტური ინტერნაციონალის მოქმედების შეზღუდვის, რომელიც არის დამოუკიდებელი ორგანიზაცია და არ ექვემდებარება მთავრობის კონტროლს. და რომ «ნევისტიას» სიტყვები ცარიელი სიტყვები არაა და რომ მოსკოვის მთავრობა თავის ჩვეულებას ვერ უღალატებს, ამას, სხვათა შორის, მოწმობს კომუნისტური ინტერნაციონალის ეგზეკუტივის მიერ ამ დღეებში გამოცემული მოწოდება ბრიტანეთის ინდოეთის მცხოვრებთადმი, სადაც ინტერნაციონალი მოუწოდებს ხალხს, უნდობლობა და ზიზღი გამოუცხადონ მაკდონალდის მთავრობას, რადგან ეს მთავრობა კაპიტალისტების დაქირავებული და მათი ლაქიაა.

ზიზღი აგრეთვე მეფის მოადგილეს და ბრიტანეთის სხვა მოხელეთ, რომელნიც მუშათა მთავრობის თანხლებით არ ზოგავენ ძალღონეს ხალხის დასამონაწევრბლოთ.

ბოლშევიკები, მათთან დიპლომატიური კავშირის განახლების შემდეგ, ერთხანს მაინც უნდა ყოფილიყვნენ თავშეკავებული, მაგრამ არა...

ყოველივე ამის შემდეგ, ბუნებრივად, გვაგონდება ჩემბერლენის სიტყვები, — ბოლშევიკები ატყუებენ მაკდონალდის მთავრობას, თუ მაკდონალდის მთავრობა ატყუებს ხალხს.

პოლიტიკურათ მაკდონალდის მთავრობამ დიდი და შეიძლება საბედისწერო შეცდომა დაუშვა, როდესაც საბჭოებთან დიპლომატიური ურთიერთობა აღადგინა. ამ შემცდარი ნაბიჯის პრაქტიკული შედეგები მალე ამტკიცვლდებიან.

პოლიტიკურათ უარყოფითი, შესაძლოა, ეკონომიურათ დიდათ ხელსაყრელი იყოს ინგლისის ხალხისთვის მაკდონალდის მთავრობის აღნიშნული ნაბიჯი. მაგრამ მწარე სინამდვილე აქაც საწინამდევოს ლაპარაკობს. ჰენდერსონმა თემთა პალატაში განაცხადა — ბოლშევიკებთან დიპლომატიური კავშირის აღდგენით ახალი ბაზარი შეგვეძინება. ვინც ინგლისს ინგლისის დღევანდელ ვითარებას, მისთვის ჰენდერსონის ეს სასაწყვეთილი განცხადება გასაკვირი არ იქნება.

ინგლისი უძლიერესი ქვეყანაა როგორც ფინანსური, ისე საერთო ეკონომიური აქტივით და გაქანებით. ის ერთად ერთი ქვეყანაა, რომელიც ოქროს ვალიუტაზე რევალორციის გზით გადავიდა და ამ მდიდარ სამრეწველო და ალემ-მიცემობის ქვეყანაში უმუშევართა რიცხვი დამაფიქრებელ სისწრაფით იზრდება.

თუ რატომ აქვს ამ მოვლენას ადგილი ინგლისში, როდესაც, მაგალითად, საფრანგეთმა, რომელიც ფინანსურათ და საერთო ეკონომიური დოვლათით უფრო სუსტია მასზე, არამც თუ არ იცის უმუშევრობა, დიდად უცხოელ მუშას მისცა საზრდო, — ეს ჩვენი წერილის საგანს არ შეადგენს. ვიტყვით მხოლოდ, რომ ინგლისში უმუშევრობა ღრმა მიზეზებითაა გამოწვეული (მაგ., ქალაქის და სოფლის ანორმალური ურთიერთობა) და მისი მოსაპობა პალიატივებით შეუძლებელია. ამიტომაცაა, რომ კონსერვატივებმა მოიტყნეს კისერი ამ საკითხზე, და მუშათა

პარტიასაც იგივე მოუვა, რადგან პალიატივებს ვერც ის გასცილდება, ძირითადად საკითხის დასმა, ძალთა დღევანდელ განწყობილებაში. მას არ შეუძლია.

თუ მოსკოვთან დამძობილება ოდნავ მაინც შეამსუბუქებს მდგომარეობას, მაკდონალდის მთავრობის ნაბიჯი კიდევ გასაგები იქნებოდა, მაგრამ ამ მხრივ ის სრული იმედ გაცრუებული დარჩება.

«მოსკოვის ცნობით ახალი ბაზარი შეგვეძინა», გასაკვირია ბ. ჰენდერსონის ეს განცხადება. ნათქვამია, «ყვეს არ ჰქონდა, ბუს გაქონდა». როგორ შეიძლება რაიმე ბაზრის გაფართოებაზე ლაპარაკი ამ შემთხვევაში, როდესაც რუსეთი როგორც ეკონომიური ერთეული მოშლილია, ხალხი პირველ ყოფილ მდგომარეობაშია ჩაყენებული, მისი მყიდველობითი ძალა არააობას წარმოადგენს, სახელმწიფოს მყიდველობითი ძალაც არაფერს წარმოადგენს, და მასთან, და ეს მეტად საგულისხმოა, საბჭოების სამოქმედო პროგრამაში სულაც არ შედის ფართო და სერიოზული საეკონომიო ოპერაციების წარმოება და მით ქვეყნის აღდგენა. ბოლშევიკებმა კარგათ იციან, რომ დადებითი მუშაობისთვის ისინი მოწოდებული არ არიან, რომ მათი არსებობა დროულია, რომ კონფლიქტი სხვა ქვეყნებთან დღეს თუ არა ხვალ აუცილებელია, და ამ ვითარების მიხედვით დგამენ ისინი ამა თუ იმ ეკონომიურ ნაბიჯს და ამიტომ ეს აქტები შემთხვევითი ხასიათის და უმნიშვნელონი არიან. თავისთავად ცხადია, ასეთ პირობებში მაკდონალდის მთავრობა ვერ იხიერებს მოსკოვთან დამძობილებით.

ვიმეორებთ, პრაქტიკული მოსაზრებით ვერ გამოართლება მაკდონალდის მთავრობის მიერ საბჭოებთან დიპლომატიური კავშირის აღდგენა.

მაგრამ აქ ჩვენ ამ პრაქტიკულ მხარეზე უფრო პრინციპიული მხარე გვანტერესებს. თუნდაც საბჭოებთან დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენას დიდი ნივთიერი სარგებლობა მოეტანა ინგლისს ხალხისათვის (მოვსოა უმუშევრობა, ფართი, უძღებნი ბაზარი ინგლისის საქონლისათვის და სხვ.), სოციალისტურ მთავრობას განა «დახლისა და ჩოთქის» საზომის გარდა სხვა საზომი არ უნდა ქონდეს? განა სოციალისტური სინდისი არ მოითხოვს კავშირს კი არა. აქტიურ შებრძოლებას იმ სიმახინჯესთან, რომელმაც დედამიწის ერთი მეექვსედი ჯოჯოხეთში გადააგდო და მას სატანური ცინიზმით დახითხითებს!

მაკდონალდის და მისი მთავრობის ტრადელია იქიკი არაა, რომ ის ნივთიერ ანგარიშებში შემცდარი და მოტყუებულია, არამედ იქ, რომ მისი პრინციპიალობა და სოციალისტური სისუფთავე შელახულია, სოციალისტური სისუფთავე, რომელიც ამბობს: ყოველივე უსამართლო მიუღებელია, რადგან იგი რეაქციონური და ცხოვრების დამქვეითებელია, ამიტომ კავშირი კი არა მასთან, ბრძოლა სამართლიანობის აღსადგენათ.

საბჭოები ხომ უდიდესი უსამართლობა და უდიდესი რეაქციაა, რომელიც ოდესმე მოვლენია კაცობრიობას და ვინც მასთან კავშირს აბამს, რეაქციის საქმეს აკეთებს, საბედისწერო გზაზე დგას.

ილია ნუგუბიძე.





ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ც ი ვ რ ე ბ ი თ

(გდა ჩვენი ქვეყნის გრძელულ მეურნეობის მიმოხილვისა)  
(გაგრძელება)

კაცმა რომ სთქვას დღევანდელმა საქართველოს ბატონებმა თვითონაც არ იციან რიგიანად, რა არის «კულაკი». ერთ ხანობას დაიჩემეს—კულაკი ის არის, ვინც დაქირავებულ მუშასაც იშველიებს თავის მეურნეობაშიო. ასეთი დახასიათება მალე ყალბი გამოდგა: თვით სასოფლო-მეურნეობის ბუნება ითხოვს—მეზობლის თუ მუშის მიშველიებას; ეს ჭეშმარიტებაა მეტადრე ჩვენისთანა ქვეყანაში, სადაც ყველაფერი მხოლოდ ერთი მეორის შველით ესწრება და ხერხდება. შეიძლება ამიტომაც აღარ იმეორებენ ბოლშევიკები «კულაკის» ასეთს დახასიათებას. ესლა სხვა ფორმულას ეძებენ და, ვგონებთ, ასეთმა დიდმა მოხელემ და ყოვლის მცოდნე ადამიანმა როგორც მიზა კახიანია—გამოძებნა სათანადო ფორმულა.

აი რას გვეუბნება ეს ბრძენი ადამიანი, ერთ-ერთ თავის მოხსენებაში:

«მთელ საქართველოში საშუალო გლეხობის მეურნეობანი შეადგენენ 62,9 პროცენტს, მოსახლეობაში საშუალო გლეხობას ეკუთვნის 67,5 პროცენტი, ხოლო მისი შემოსავალი 68,2 პროცენტს უდრის; 32,1 პროცენტს შეადგენენ ღარიბი გლეხები, რომელთაც შემოსავალი 10,1 პროცენტს არ აღემატება; შეძლებულ მეურნეობათა ჯგუფს, მეურნეობათა რიცხვში ეკუთვნის 5 პროცენტი, მისი შემოსავალი შეადგენს 21,6 პროცენტს. აი ეს უკანასკნელი წერიანი კულაკები.»

აბა ვინ იტყვის, რომ ეს ფორმულა მოკლებული იყოს მეცნიერულ სიმარტივეს, ჭეშმარიტებას და სისწორეს! გულ ახდით უნდა აღვიაროთ, რომ მაინც ვერ მივხვდით, ვინ არის ჩვენში «კულაკი», რა თვისება ახასიათებს მას და რაში მდგომარეობს ის საშიშროება. რომლითაც იგი ევლინება ჩვენს სოფელს. და რაკი ვაგება ამ მეცნიერულ დებულების მაინც აუცილებელი იყო, ასეთ ანგარიშს ვაყვევით. ბ. კახიანის ციფრები მართალიც რომ იყოს, საქირთა პატარა შესწორების შეტანა. მისი სამი ჯგუფის შემოსავლის საერთო ჯამი ასის მაგიერ გვაძლევს 99,9; ჩვენ გადავწყვიტეთ სადაც ვაპარული 0,1 პროც. შეძლებულ ჯგუფს მივუმატოთ, რომ ისინი უფრო «ვალუკაპულები» გამოვიდნენ. გლეხობის მეურნეობათა პროცენტების ჯამი კი სწორედ 100-ს იძლევა. ჩვენც აქედან დაგიწყეთ «კულაკის» ბუნების გამოძებნა.

საქართველოში სოფლის მეურნეობათა რიცხვი 400.000-მდე უნდა იყოს. თუ ეს ასე, ამ შემთხვევაში ბ. კახიანის ციფრების მიხედვით მივიღებთ ასეთ ცხრილს (თუ ვიანგარიშებთ, რომ თითო ოჯახი, საშუალოდ, 5,5 სულიდან შესდგება):

	სულ ორთავ სქესის	
მეურნეობანი	რიცხვი	(სოფლის მოსახ. რიც.)
ღარიბების	128.400 მეურ.	706.200 ორთავ სქ.
საშუალო	251.600 »	1.383.800 »
«კულაკები»	20.000 »	110.000 »
	სულ 400.000	» 2.200.000 »

თუ მივიღებთ, რომ სასოფლო-მეურნეობის პროდუქციის ყოველწლიური (დაახლოებით) ღირებულება უდრის=260.000.000 მანეთს.

ამ შემთხვევაში ასეა განაწილებული ეს წლიური პროდუქციის ღირებულობა (მორგვალებით):

ღარიბების წილი	26 მილიონი მანეთი.
საშუალოთა წილი	177 მილიონი მანეთი.
კულაკების წილი	57 მილიონი მანეთი.

სულ 260 მილიონი მანეთი.

ამ ცხრილებიდან უკვე ნათლად დავინახავთ, ვინა ბრძანდება «კულაკი». ეს ის გლეხია, რომლის სოფლური შემოსავალი, თითო სულზედ, წარმოადგენს 520 მანეთს, წელიწადში. მაგრამ ნუ დავივიწყებთ, რომ იგი მონაწილეა არამც თუ მართლ სასოფლო-მეურნეობის შემოსავლისა, არამედ საერთო ეროვნულ შემოსავლისაც. ქართველ კომუნისტების რწმუნებით საქალაქო და საზოგადოთ სხვა «არა სასოფლო შემოსავალი» მთელს საქართველოში იყო 110 მილ. მ. (1927-28 წ.). აქედანაც უნდა ვარგუნოთ რამე ბოლშევიკების მიერ ავადებულს სოფლის «წურბელას». აქ კი «კულაკს» ვეღარ მივკუთვნებთ შემოსავლის 21,6 პროც., რადგან ის მხოლოდ სოფლის წურბელაა და სხვაგან რა ხელი აქვს! ეს მეორე ეროვნული შემოსავალი თანაბრად უნდა გაიყოს ყველა მცხოვრებლებზედ. თუ ასე მოვიქცით, მივიღებთ=42 მანეთს (დაახლოებით) და დავინახავთ, რომ თითო «კულაკს» მთლად საერთო შემოსავლიდან ერგება ყოველ წლივ (520+42)=562 მანეთი და მის ოჯახს, რომელიც 5,5 სულიდან შესდგება=3091 მანეთი (თუ არა ვცდებით ომის წინ. (ცარიზმის დროს). სწორედ ამდენი იყო ვიცე-გუბერნატორების ჯამაგირი!»


საინტერესოა თვლი ვადავალოთ, რამდენი მოდის, თითო სულზედ, საერთო შემოსავლიდან, უცხო სახელმწიფოებში («იზ. ნაროდ. ხოზ. ზაკავკახია» გვ. 693):

უმთავრეს ქვეყნების ნაციონალური შემოსავალი, თითო სულზედ (ოქროს მანეთებით):

ინგლისი	413 მანეთი
გერმანია	223 »
იტალია	165 »
საფრანგეთი	348 »
ავსტრალია	505 »
ინდოეთი	28 »
კანადა	626 »
იაპონია	69 »
ს.ს.ს.რ.	51 »

კახიანების მიერ გამოგონილი «კულაკი» 562 მან.! თუ ეს გებევრებათ, 500 მანეთზედ ჩამოვიდეთ!

აქ საქირთო ვრაცთ, პატარა რამ შენიშვნა დავუთმოთ ჩვენგან მოყვანილ ცხრილებს. სულ პირველად თავიდან ვიცოლებთ ყოველგვარ პასუხისმგებლობას იმ ძირითად მასალების შესახებ, რაზედაც ჩვენი გამომანგარიშება ავავეთ. რაც ბოლშევიკურ



სტატისტიკურ და არასტატისტიკურ გამოცემებში ვნახეთ, სწორედ ის მოვიყვანეთ აქ. ჩვენს გამოანგარიშებაში ვხედავდეთ ერთ ნაკლუფუნებას იმაში, რომ ვერ მოვახერხებთ ქალაქში მცხოვრებ მოსახლეობაზე და ც გაგვენაწილებინა სასოფლო მეურნეობის წლიური პროდუქციის ჯამი.

ასეთი განაწილება სამართლიანი იქმნებოდა, თუმცა ბ. კახიანიის დებულებანი «კულაკის» შესახებ არ გულისხმობენ ასეთ მიზომვას... მესამე ჩვენი შენიშვნა ეხება მანეთების ღირებულობას. უკანასკნელ ცხრილში ნათქვამია, რომ «ოქროს» მანეთებით არის ნაანგარიშები უცხო ქვეყნების შემოსავალი. სწორედ მოგახსენოთ, არ ვიცით, როგორ უნდა შევადგათ ქართველი «კულაკის» 562 მანეთი. თვით ბოლშევიკებს ხომ ვერავინ გაუბედავს უმტიციცო, რომ მათი მანეთი ბაჯალლო ოქრო არ არის! თუ ბოლშევიკებიც ასეთათ არა სთვლიან, ამ შემთხვევაში 562 მანეთი იქმნებ უნდა უდრიდეს + 51 მანეთს, რომელიც მათგან ნაჩვენებია, როგორც ს.ს.ს.რ. მოქალაქის მონაწილეობა ნაციონალურს შემოსავალში, და თუ ქართველი სოფლის «წურბელას» მონაწილეობა უდრის (მეტ-ნაკლებობით) 51 მანეთს, ამ შემთხვევაში სად არის მათი «კულაკი», ეს ქვეყნის მტერი და დამტყვევი?! და თუ ეს 500 მანეთი სწორ-უპოვარი ღირებულობაა «ოქროს» მანეთების, მაშინ სულ უბრალოდ მოგვრით სიტყვას და ამას ვეტყვი კახიანს: ნუ თუ მართლა გჯერათ, რომ მაგოდენათა ამაღლებული რომელიმე ქართველი გლეხის მონაწილეობა წლიურს პროდუქციაში? აბა გადახედეთ ცხრილს და თქვენის თვალთ დარწმუნდით, რომ ჩვენი გლეხი, თუნდაც «კულაკი» იყოს, უფრო დიდი მონაწილე ყოფილა ნაციონალური შემოსავლისა, ვიდრე ამერიკელი მოქალაქე, ფრანგი, გერმანელი. მთელს დედამიწის ზურგზე, რომელმაც-კი ამ ქართველ გლეხს აჯანადა—კანადელი და ავსტრიელი! რასაკვირველია ყველა ეს მოჭორილი ამბავია, როგორც ჭორია ის, თითქოს საქართველოში 20.000 სოფლის «კულაკების» ლჯახი იყოს! არა, ბ-ნო კახიანებო, თქვენ მიერ წარმოდგენილი «კულაკის» დახასიათება არ გამოდგება, უნდა სხვა ფორმულა გამოძებნოთ და მანამ გამოსძებნდით, იქმნება ამან დაგაკმაყოფილოთ:

«კულაკი» ის უღირსი არსება არის, რომელსაც მოტყუილებით ხელთ უგდია სხვისი ქონება და სიმდიერე; ვინც არცა ხნავს და არცა სთვს. ბელლებში-კი პატიოსანი მუშაკუნდ უფრო მეტი სარჩო უგროვდება. სხვას ამუშავებს, თვითონ-კი განცხრომაში იმყოფება და ეროვნულ შემოსავლის უდიდესი წილი თავისთვის მიუთვისებია. ოფლს სხვა ღვრის, ნაყოფს კი ის ეპატრონება; სხვა ღარიბდება და ამ ღარიბის ნაშრომით-კი თვითონ უღარდელ ცხოვრებას ეძლევა. აი ეს გახლავთ «კულაკი», ბ-ნო ქართველო ბოლშევიკებო, მაგრამ ეს ფორმულა თქვენთვის მიუღებელია, რადგან იგი სწორედ თქვენი დახასიათებაა, თქვენზეა უფრო-გამოჭორილი და არა იმ უბედურ ქართველ გლეხზე, რომლის პატიოსანი შრომა, თავის ძალღონეზე დაყრდნობა, თავისი უნარით დამოუკიდებელი ცხოვრების მოწყობა—ვერ მოგინებიათ და ვერა! თქვენ გინდათ მონები და არა მოქალაქე, ყურმოჭრი-

ლი ყმები და არა თავმოწონე პატიოსანი მუშაკი... აი ეს პატიოსანი მუშაკია თქვენ მიერ «კულაკათ» მონათლული, ის მუშაკი, რომლის დაქვეითება და ღარიბ გლეხების მდგომარეობამდე ჩამოსვლა, იქნება ჩვენი ქვეყნის უბედურება, ისე, როგორც ბენდინერება იქნება, რომ საქართველოს ღარიბი სოფლის მეურნე არამც თუ იმ სიმაღლემდე ამაღლებულიყვნენ, როგორც თქვენგან დაწუნებული «კულაკები» არიან, არამედ კიდევ უფრო მაღლა...

ჩვენ განგებ შევჩერდით ამ საგანზე, რომ გვეჩვენებინა, რა ატმოსფერაა ამჟამად დამყარებული ჩვენს სამშობლოში, სწორედ იმ დროს, როდესაც ძირითადად უნდა შეიცვალოს ჩვენი სასოფლო-მეურნეობის ტენიკა, რათა ჩვენმა ხალხმა ის მაინც მოახერხოს ამ მოკლე ხანში რომ საკუთარის ნაშრომით უპირველესი მოთხოვნილებანი დაიკმაყოფილოს, ხახვს უცხოეთიდან აღარ იბარებდეს და მოლონიერდეს. არსებული მდგომარეობის დასახასიათებლად საჭიროა მოვიყვანოთ კიდევ ერთი ამბავი.

კომუნისტების ყრილობებზე. ტფილისში, ამას წინად აღიძრა კითხვა, რომ აგრონომიული ფაკულტეტი ჩამოაშორონ უნივერსიტეტს და გადასცენ მიწად-მოქმედების კომისარიატს. ას პროცენტანი ბოლშევიკები გაცხარებთ მოითხოვდნ ამასა. ბოლშევიკები, მოთმინებიდან გამოსული რექტორი უნივერსიტეტის, ისიც 100 პროცენტანი კომუნისტები, ტორომელიძე ალაპარაკდა და განაცხადა შემდეგი: ეს ხომ ყველამ კარგათ ვიცით, რა ფასი აქვს მიწად-მოქმედების კომისარიატს და რა ყრია მასშიო! აგრონომიულ ფაკულტეტის იქით გადაყვანით აბა რა უნდა მოიგოთ. როდესაც ისიც-კი ვერ მოგიხერხებიათ, რომ უნივერსიტეტი ყოველთვის უზრუნველყოთ გადაჭრილი ფულის მიცემითო. ერთი თვე რომ გავა, ჩვენ არასოდეს არ ვიცით მოგვეცემა რამე მომავალი თვისთვის თუ არა. ისეთ ყოფაში ვიმყოფებით, რომ ფაკულტეტთა ლაბორატორია-კი ვერ მოგვიწყვილაო...

აი ასე ჰქონიათ საქართველოს დღევანდელ მართველთ მოწყობილი უმაღლესი განათლება. აგრონომიულ ფაკულტეტს ლაბორატორიები რომ არ მისცეთ და ენდურებოდეთ, რატომ სასწაულს არ ახდენს სასოფლო-მეურნეობაშიო, ეს იმასა გავს, რომ სალ ადამიანს კლავები დააწყვიტოთ და მერე უკიყინებდეთ, რატომ ხელეებს არა შლიო...

საუბედუროთ იქ, სადაც ასეთი მდგომარეობა დამყარებული, იქ შეუძლებელი ხდება სასოფლო-მეურნეობაში სახეირო ცვლილებათა შეტანა. მანამ ეს დამაბრკოლებელი პირობები ძირიანად არ შეიცვლება; მანამ სოფლის მეურნე არ მოიპოვებს სრულ თავისუფლებას შრომისათვის და მანამ მეცნიერების ტაძარს აღკრძალული ექმნება ცოდნით განათლება სოფლის მუშაკისა, არსებულს მეურნეობის ტენიკასა და პრაქტიკაშიც არავითარი სასიკეთო გარდატეხა ვერ მოხერხდება.

დავუბრუნდეთ ჩვენს პირდაპირ საგანს. დიდს ინტერესს წარმოადგენს მიწის მოსავლის გაცნობა სხვადასხვა ქვეყნებში. მაგრამ აქ ერთი რამ უნდა ითქვას საერთოდ. სხვადასხვა ლიტერატურულ წყარო-



ებში ხშირად შეხვდებით განსხვავებულ ცნობებს, ერთსა და იმავე საგანზედ, მეტადრე, როდესაც ეს მოსავლიანობას ეხება. ეს სხვადასხვაობა იმითი აიხსნება, რომ იმ ქვეყნებში გამუდმებულის დაჩქარებულის ტემპით მიდის სასოფლო-მეურნეობის ტენზიკის და პრაქტიკის გაუმჯობესება, რითაც მოსავლის მუდმივ ზრდით ხასიათდება.

ბ. ლევეკის წიგნში «Ce que tout agriculteur doit savoir» ასეთი ცხრილია მოყვანილი მოსავლიანობის შესახებ ომის წინ, თითო ჰექტარზედ:

საფრანგეთი 14 კვინტალი (1929 წ. უკვე 16,5 კვინ.)
გერმანია 20 »
ინგლისი 21 »
ბელგია 25 »
ჰოლანდია 28 »
დანია 32 »

ჩვენ უკვე გვქონდა მოყვანილი ბ-ნ მოპას ჩვენება როგორ იყო მოსავალი გაზრდილი გერმანიაში, ომის პერიოდში. ბევრი ეკონომისტი შენიშნავს თავის ნაწერებში, რომ გერმანიამ 30 წლის განმავლობაში 1 ნახ. ჯერ ასწია თავისი მოსავლიანობა.

ამავე დროს საქართველოში ასეთი მოსავალი ყოფილა 1927-28 წ. თითო ჰექტარზედ:

პური 7,71 ცენტნერი
სიმინდი 10,57 ცენტნერი

ფუთობით თითო ჰექტარზედ ნაჩვენებია 46-49 ფუთი  
ამავე დროს გერმანიაში მოსულა 98,8 ფუთი  
იაპონიაში 99,4 ფუთი  
ირლანდიაში 161 ფუთი.

მოვიყვანთ კიდევ ერთ ცხრილს, ეკონ. ორლოვის შრომიდან (ეურნ. სოვრ. ზაპისკი 1923 წ.)

სახელმწიფო	საშუალო მოსავალი
	1901-1916 წლებში
	ფუთობით თითო ჰექტ.
პური	კარტოფილი

რუსეთი ევროპ.	43	449
საფრანგეთი	82	539
გერმანია	126	847
ინგლისი	131	877
ბელგია	153	1698
დანია	187	857
ჰოლანდია	141	881
ამერიკის შეერ. შტ.	60	391
იაპონია	83	694
არგენტინი	39	839

საქართველო: პური 45-50 ფუთი; სიმინდი 50-60 ფუთი; კარტოფილი 407 ფუთი.

ეს ცხრილი გვიჩვენებს, რის მიღწევა შეუძლია საქართველოს, როდესაც მისი სასოფლო-მეურნეობა მეცნიერული მეთოდების მიხედვით იქმნება გარდაქმნილი.

ამ მოკლე ხანში საქართველოშიც უცდიათ მეტი მოსავლის მიღება, რისთვისაც მხოლოდ ორი საშუალება უხმარიათ: მიწის გაპოხიერება და თესლის შეჩრჩევა. შედეგი ასეთი ყოფილა (თითო ჰექტარზედ):

ხორბალი 90 ფუთი
სიმინდი 200 ფუთი.

საკულისხმოდ ამ ცდაში ის არის, რომ მხოლოდ

უბრალო საშუალებით მიუღწევიათ ამნაირი მოსავლის მიღება: მიწაში სასუქის შეტანით და თესლის გადარჩევით.

ეს ისეთი უბრალო წომეობა, რომ ჩვენ გლესს ცოტათ თუ ბევრად დღესაც შეუძლიან მიმართოს მას, ოლონდ-კი ხელი შეუწყონ მას სათანადო ორგანიზაციების მოწყობით. როგორც გამოანგარიშება გვიჩვენებს, ამ შემთხვევაში საქართველოს მოსახლეობას არამც თუ მისთვის საჭირო პური და სიმინდი მოუვა, არამედ გარეთ გასატანათ დარჩება.

რას გვეუბნება ზემოთ მოყვანილი ცხრილი? სულ პირველად, რასაკვირველია, ჩვენს დიდს ჩამორჩენას. მეორეთ იმას, რომ დროა ჩვენს ქვეყანაშიც შევუდგეთ სასოფლო-მეურნეობაში თანამედროვე მეცნიერული მეთოდების შეტანას.

შეიძლება ეს ცხრილი იმასაც გვეუბნებოდეს, რომ საკმაო არის სულ მცირე ძალის დატანება, რომ ჩვენში, არსებული ტენზიკის საშუალებითაც-კი შესაძლებელი გახდეს ისე იმატოს მოსავალმა, რომ მოსახლეობის გამოკვების მხრივ საკლებით დაფაროს ქვეყნის მოთხოვნილება.

ამას არც ბოლშევიკები მალავენ. «ცენტროსევის» ყოფილი თავმჯდომარე გვეცი ირწმუნება, რომ 600.000 დესეტინის შემუშავებით საკმაოა 6-10 პროცენტით აწევა მოსავლისა, რომ საქართველოს აღარ დასჭირდეს ხორბლეულობის გარედან შემოტანა (იხ. კრებული «გრუზია» 1921-23 წ.წ.).

რა სურათს ვხედავთ ევროპის სახელმწიფოებში — მოსავლის პერიოდულად ზრდაში?

გერმანიაში ეს ზრდა ამნაირად ხდებოდა:		
1879-1888 წ.წ.	1887-1896 წ.წ.	1899-1904 წ.წ.
პური: 14,7 დოპელც.	16 დოპელც.	19 დოპელც.
კარტ.: 95 »	104,8 »	128,8 »

კერძოდ პრუსიაში მოსავალი თითო სულხედ იყო:

1879-1885	1886-1895
პური: 185 კილოგრ.	210 კილოგრ.

როგორც ვხედავთ 1885 წელს, პრუსიაში, თითო სულხედ იმდენი მოდიოდა, რომ ვერ გამოკვებდა მთელი წლის განმავლობაში არამც თუ სოფლის მცხოვრებს (საჭიროა 240 კილოგრამი), არამედ ქალაქისაც (საჭიროა 192 კილოგრ.). მეურნეობის ტენზიკის გაუმჯობესებამ იქის ეფექტი მოახდინა, რომ უკვე 1886 წლის შემდეგ მოსავალი 210 კილოგრამამდე ავიდა. შემდეგს პერიოდებში მოსავალმა ხომ კიდევ უფრო მეტად იმატა.

ყოფნის თუ არა საქართველოს მოსახლეობას პურეულის წლიური მოსავალი? ამ კითხვაზედ არ არსებობს ერთი რამ გადაწყვეტილი პასუხი. უეჭველია, რომ არის წლები, როდესაც ყოფნის, თუმცა არის წლები, როდესაც საზღვარ-გარეთიდან (ამ ქამად რუსეთიდან, მეტ წილად) უხდება ჩვენს ხალხს პურეულის შემოტანა. რასაკვირველია გარედან შემოტანა იმიტომ კი არ ხდება, რომ თვით საქართველოში არ იყოს შესაძლებლობა საჭირო მოსავლის მიღებისა, არამედ ან იმიტომ, რომ სტიქიური მოვლენანი ამცირებენ მას და ან იმიტომ, რომ სასოფლო-მეურნეობა არ არის კარგ დონეზედ დაყენებული.

ნოე ხომერკის გამომანგარიშებული ქონდა, რომ საქართველოს ყოველწლივ სპირიტებოდა პურეული:

- 1) მოსახლეობის საკვები 528.840 ტონი
- 2) თესლი 69.728 »
- 3) მუშა-საქონლის გამოსაკვებათ 63.238 »

სულ 662.000 ტონი.

საქართველოს სტატისტიკრებული (გამოცემული 1923 წ.) პურეულის მოსავლის შესახებ ასეთ ცნობებს გადმოგვცემს: პურეულობის მოსავალი 1909—1913 წლებში, წელიწადში, საშუალოდ, ყოფილა 42.577.000 ფუთითა. აქედან აშკარად სჩანს, რომ ამ პერიოდში ყოფილა წლები, როდესაც ჩვენი საკუთარი მომავალი გვეყოფნიდა სავსებით. არ არის სწორეთ ნაანგარიშევი, დეფიციტიან წლებში რამდენი უხდება ჩვენს ქვეყანას პურეულის უცხოეთში ყიდვა-ჩვენ უკვე გვქონდა მოყვანილი ნ. ხომერკის წიგნი-

დან ცნობა, რომ ეს ნაკლებობა 3 ნახ. მილ. ფუთამდე აღიოდა. დღეს-კი, ეს დეფიციტი 8-10-14 მილიონამდე აყავთ. თუ ეს ციფრები სინამდვილეს არ ამახინჯებენ, ისინი ამტკიცებენ, რა ზომამდეა ამ ეხმად დაცემული და უყურადღებოთ მიგდებული სასოფლო-მეურნეობა ჩვენში, ეს ჩვენი ერის მთავარი საქმიანობა...

ეს მოვლენა ცალკე განხილვას ითხოვს; იგი გამოწვეულია მთელი რიგი პოლიტიკურ და ეკონომიურ მიზეზებით, რომელიც თავზედ აქვს მოხვეული ჩვენს ერს აგერ ას წელიწადზე მეტია. ააცილეთ ქვეყანას ეს უკუღმართი მიზეზები და საქართველოში იმდენი პურეული მოვა, რომ გარეთ გასაყიდათაც დარჩება.

(გაგრძელება იქმნება)

—ლი—გ.

### უ კ რ ა ნ ი ნ ი ს ს ა კ ი თ ხ ი

#### 4. ნ ა ლ ხ ი ს ნ ე ბ ი ს ყ ო ღ ა .

წემონათქვამიდან ყველას შეუძლია დაასკვნას, რომ უკრაინას მოეპოება ყველა პირობა შექმნას სახელმწიფო. მაგრამ შეიძლება დაისვას კითხვა: აქვს უკრაინას სურვილი საკუთარი სახელმწიფოს დაარსების? არის ეროვნული შეგნება? ამის საპასუხოთ საქირა თვალი გადავავლოთ საერთოდ ისტორიას დაკერძოთ ხალხის გრძობების გამოქლავებებს უკანსკენელ დროში.

უკრაინა მუდამ ხალხთა ბრძოლის სარბიელი იყო. იგი წარმოადგენდა გზას, რომლითაც აზიის ყველა ტომი შემოდოდა ევროპაში. უკრაინას ხვდა წილად მოვალეობა დაეცვა განათლებული ევროპა თათართა და სხვა ტომების შემოსევისაგან. მეორეს მხრით უკრაინის ნაყოფიერი მიწა ყოველთვის იზიდავდა ჩრდილოეთის და აღმოსავლეთის ხალხებს. ამის მიზეზით უკრაინის ისტორია იყო მღელვარე და დაუწყყნარებელი, და მრავალი მძიმე დაბრკოლება ეღობებოდა წინ უკრაინას სახელმწიფოს დაარსებისათვის. მიუხედავთ ამისა, უკრაინის ერმა მაინც მოახერხა სამჯერ საკუთარი სახელმწიფოს შედგნა. მე 10-12 საუკუნეებში არსებობდა სახელოვანი კიევის დიდი სამთავურო, რომელსაც დიპლომატიური ურთიერთობა ქონდა ბიზანტიასა და მთელ ევროპასთან.

კიევის დამხობის შემდეგ დასავლეთ უკრაინაში დაარსდა გალიციის სამეფო, რომლის მეთაურმა განთქმულმა დანიელმა (13 ს.) თვით პაპისაგან მიიღო გვირგვინი. მერმე ლიტვის სამთავროში, რომელიც შეიცავდა აღმოსავლეთ უკრაინის დიდს ნაწილს, უკრაინელებს ეკუთვნოდათ უპირატესობა მთავრობასა და ადმინისტრაციაში.

ლიტვის და პოლონეთის პიროვნული უნიისა (1386) და უკანასკნელის მიერ უკრაინის დამონების შემდეგ უკრაინელები იწყებდნ აჯანყებას (16 ს). უკრაინელ კაზაკების თავისუფალ ჯარს მრავალი ომი ჰქონდა პოლონელებთან. მე 17 ს. შუაში უკრაინის ყველაზე მეტად სახელოვანმა გეტმანმა ბოგდან ხმელნიციმ სრულებით დაამარცხა პოლონეთი და დაარსა კაზაკების დამოუკიდებელი რესპუბლიკა.

ხანგრძლივი ბრძოლების შემდეგ პოლონელები-სა და თათრების წინააღმდეგ ხმელნიციმ პირდაპირი კავშირი შეკრა მოსკოვთან (1654 წ.) თავის ქვეყნის გადასრჩენად. მას ესაჭიროებოდა მოსკოველების სამხედრო დახმარება და ამიტომ აღიარა მოსკოვის მეფის უზენაესობა, მაგრამ თან მიიღო დამოუკიდებლობის გარანტიები. გეტმანი თავისუფლად უნდა აერჩია ხალხს, რჩებოდა საკუთარი ჯარი კაზაკებისა; გარდა ზოგიერთი შეზღუდვისა, პოლონეთს და ოსმალეთის მიმართ, უკრაინას უფლება ჰქონდა თავიუფალი დიპლომატიური ურთიერთობისა, უკრაინა იტოვებდა აგრეთვე დამოუკიდებელ ადმინისტრაციას.

მაგრამ მოსკოვის მეფეს სრულებით არ უნდოდა ხელშეკრულობის დაცვა. პირველ წლიდანვე დაიწყო მისი დარღვევა და უკრაინის დამორჩილება. ხოლო რუსებს დასპირდათ მკაცრი ბრძოლა მთელი საუკუნის განმავლობაში უკრაინელების დასამორჩილებლად. ამ ბრძოლის ყველაზე უფრო ცნობილი ეპიზოდია მახუპას ამბოხება (18 ს. დასიწყისში), რომელიც შეუკავშირდა შვეციის მეფეს კარლოსს მეორემეტეს პეტრე დიდის წინააღმდეგ.

იმპერატორმა პეტრემ გაანადგურა უკრაინელთა დამოუკიდებლობა. მის გზას გაჰყვა ეკატერინე მეორეც, რომელმაც მოსპო ზაპაროჟიე-კაზაკების საბინადრო.

ამავე დროს გალიცია, პოლონეთის დანაწილების შემდეგ და ცოტა გვიან ბუკოვინაც მიეკუთვნა ავსტრიას, სადაც გასული საუკუნის მეორე ნახევრამდე სრულიად დამონებულნი იყვნენ.

უკრაინელი გლეხები გახდნენ რუსისა და პოლონელთა ვად-აზნაურობის ყმები. ბრძანება იყო გაცემული მათ გასარუსებლად და გადასავგარებლათ. მაგრამ ხალხს არასოდეს დაუკარგავს თავისი ეროვნული შეგნება უდიდეს დევნის დროსაც. 1767 წ. ეკატერინე მეორემ მონიღომა თავის იმპერიის ყველა კუთხიდან არჩულ წარმომადგენლების მოწვევა რჩევის მოსასმენდ საკანონმდებლო საკითხთხებისათ-



ვის. უკრაინამაც გაგზავნა თავისი წარმომადგენლები, თუმცა მოკლებული იყო თავისუფლებას. მიუხედავად რეპრესიებისა უკრაინელებმა აირჩიეს ყველაზე მამულიშვილები და თან გარკვეული მოთხოვნილებანი გაატანეს, რომ უკრაინა თავის ნებით შეუერთდა რუსეთს, რომ უკრაინა უნდა შეადგენდეს იმპერიაში ცალკე სახელიწიფოს და შეინარჩუნოს თავისი ეროვნული თავისუფლებანი.

როგორც მოსალოდნელი იყო, ეკატერინეს მოწვეულ დეპუტატებს არაფერ გაუკეთებიათ, ისინი მალე დაითხოვეს და 1905 წლამდის რუსეთს არავითარი დაწესებულება არ ჰქონდა. რომლის შემწევობით ხალხს შესძლებოდა თავის ნების გამოხატვა. მთელი იმპერიის ხალხი სრულს უვიცობაში იყო ჩაფლული. უკრაინიში სახალხო სკოლები შემცირდა და მოხდა მათი რუსიფიკაცია, ამას მოყვა უცოდინართა გამარავლება.

მაგრამ, როგორც უკვე გვქონდა მოხსენებული, მე 18 ს. დასასრულიდან უკრაინაში ვითარდება ახალი მწერლობა, რომელმაც გააღვიძა ხალხში ეროვნული შეგნება. მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში გაჩნდნენ პოლიტიკური ჯგუფები, რომელთაც შეიმუშავეს უკრაინის მოთხოვნილებანი (1820-45). ოციოდე წლის შემდეგ ცნობილმა ისტორიკოსმა კოსტომაროვმა, პოეტმა და პუბლიცისტმა კულიშმა, შევჩენკომ და სხვა მამულიშვილებმა დაიწყეს ფიქრი ყველა დამოუკიდებელ სლაფურ ერთა კონფედერაციის შესახებ და შეადგინეს კირილეს და მეთოდის ფართული საზოგადოება. მათი იდეა განავითარა მერმე პროფესორმა დრაგომანოვმა (1841-95), რომელიც იყო უდიდესი თეორეტიკოსი და პროპაგანდისტი უკრაინის პოლიტიკურ აღორძინებისა.

ამის შემდეგ შეუწყვეტილად არსებობდა უკრაინული ეროვნული ორგანიზაციები კიევისა და სხვა ქალაქებში. მათი მისწრაფება იყო განვითარება უკრაინის მწერლობის და მეცნიერების, ხალხის განათლება და გავრცელება ეროვნული იდეისა. რაც შეეხება პოლიტიკას, ისინი მისდევდნენ კირილეს და მეთოდის საზოგადოების და დრაგომანოვის აზრებს, ხოლო მათ პრაქტიკულ მოღვაწეობას ძალზე აფერხებდა მთავრობის დევნა. როდესაც უკანასკნელმა დაინახა, რომ უკრაინული ეროვნული მოძრაობა ფართოდ გაიზარდა, 1876წ. გამოსცა ბრძანება, რომლის მეორებით შეუძლებელი გახდა უკრაინული წიგნების ბეჭდვა და მამულიშვილური პროპაგანდის წარმოება.

ციმბირის ციხეები გაივსო უკრაინელ მებრძოლებით. მთავრობის მსხვერპლი გახდა უკრაინის ეროვნული გმირი შევჩენკო, რომელსაც მიუსაჯეს ათი წლით სალდათობა შორეულ აზიაში და აუკრძალეს მწერლობა. კოსტომაროვი დიდი ხნით გააძევეს თავის ქვეყნიდან. დრაგომანოვსაც ეს ბედი ხვდა. მხურვალე პატრიოტი და განთქმული მეცნიერი ვოლკოვი იძულებული იყო გაქცეოდა კატორღას და ოკლათი წელი უცხოეთში იცხოვრა. ასე დევნილი იყვნენ სხვა უკრაინელებიც. უკრაინელად თავის გამოცხადება დანაშაულობათ ითვლებოდა. დიდი გამბედაობა იყო საჭირო და გმირობა, ადამიანს და-

ეცვა თავის სამშობლოს სიყვარული და ეროვნული მისწრაფება.

რას შერებოდა მასა, ხალხი? შეეძლო თავის ეროვნულ გრძობის გამოთქმა?

უკრაინელთა ეროვნულ მოთხოვნილებათა გამო ერთმა რუსის რეაქციონერმა სთქვა, ხალხს არაფერი უნდაო. ამის საპასუხოდ შემდეგი სიტყვა იყო წარმოთქმული მეოთხე სახელმწიფო სათათბიროში (1914 წ. 22 თებ.): «თქვენ დაუბნებთ ხალხს ბაგე და ამის შემდეგ ამბობთ, რომ ხალხს არა უნდა რა, სდუმს. არა, ბატონებო, უკრაინის ხალხი არაა ბედნიერი, ის არც სდუმს და კიდევაც რომ სდუმდეს, ნუ იფიქრებთ, რომ ეს კმაყოფილების ნიშანი იყოს».

ეს სიტყვები წარმოსთქვა არა უკრაინელმა, არა უკრაინის მეგობარმა, არამედ უკრაინელების დიდმა მოწინააღმდეგემ მილიუკოვმა.

ხალხს აკრძალული ჰქონდა ხმის ამოღება. მაგრამ დადგა დრო და ხალხის ხმაც გაისმა.

(დასასრული იქნება).

ალ. შულგინი

უკრაინის რესპუბლიკის რწმუნებული, ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი.

## ს ა ზ ზ ო ტ ა საქართველოში

### 1. კლექტივიზაციის დღე.

როგორც მკითხველმა იცის, ამ დღის ჩასატარებლათ მთელი საბჭოთა კლიკა ცერებზე დადგა. გათვდა თეზისები და ლოზუნგები. 9 ოქტომბრის «კომუნისტი» ცარიელი სიტყვების კორიანტელით არ კმაყოფილდება და რუსულად ნაზროვნებ ნაძალადევე ქართულ ფრაზეოლოგიაში პატარა შინაარსაც სდებს. რა ნაირია ეს შინაარსი?

კომუნისტმა 5 წლის ვადაში სასწაული უნდა მოახდინოს: უხილავი ქარხნებიდან საოცნებო ტრაქტორები გამოაფრინოს და გუთნები მუხეუმში შეინახოს; გაასწროს იგროპის სამეურნეო კულტურას, გაავსოს სიუხვის რქა. ერთი სიტყვით დღევანდელი საბჭოთა პრესა დატვირთულია იმ კეთილი სურვილებით, რომლითაც დანტეს ჯოჯოხეთი მოკირწყლულია. ამ ხუთწლიანი უტოპიის სისრულეში მოყვანისათვის გამოიგონეს არა ნაკლებ უტოპიური ღონისძიებანი, რომელთა გამომხეურება 14 ოქტომბერს უნდა მომხდარიყო და მოხდა კიდევ. ამ დღემ დაამტკიცა, რომ კომპარტია ისევ ღობე-ყორეს ედება და თანდათან იფლება ტრადიკულ ილუზიებში. ყველაზე უფრო დამღუპველი მთელი ამ უტოპიიდან არის ე. წ. კლექტივიზაცია. რუსული მაგალითიდან გამომდებელი ეს ახირებული წამოწყება ჩვენში იმთავითვე სიკვდილის ფერს ატარებდა. საბჭოების აზრით, თუ სოფლის წვრილი მეურნეობანი არ გავრთიანდნენ ერთ ყაზარმულ კლექტივში, თუ არ მოხდა ერთგვარი მილიტარიზაცია სოფლის შრომისა, «სოციალიზმი» ჩაიფუშება. რაც არ იყო, აბა როგორ ჩაიშლებოდა. მაგრამ შედეგი ამ უტოპიური ბოგინის ქართველ მეურნეთათვის აღმოჩნდა გამყე-



ლევი, დამაძაბუნებელი და გამთიშველი. იმიტომ რომ კოლექტივი აგებულია საქართველო შრომანზე, თან შრომის ნაყოფი მთლიანად საბჭოთა ბედელში მიდის. კომპარტიას ძლიერ ეშინია, რომ წვრილი მეურნობანი არ გადაყლაპონ «კულაკებმა» და ხმა-ჩახლენილი გაიძახის, ჩემს არტახებში უფრო ბედნიერი იქნებითო. კოლექტივიზაციის სახით საქართველოს სესოფლო ეკონომიკას სამარის ლოდევით აწვება რუსული ეტატიზმის მახინჯი და ტლანქი აპარატი, რითაც ძველი სადა მაგრამ სალი სასოფლო მეურნეობა უფსკრულში დაიქანა და სხვა დარგებიც მას მიჰყვება აქილესის ტემპით.

14 ოქტომბერს მთელი საბჭოთა კამარლია და მისი უსიტყვო მრევლი გზა-ჯვარედინზე გამოჩაქურდა და დაჰკრა ბუკი და ნალარა: სოციალიზმის კარებთან ვართ და უკან დაბრუნება აღარ ღირსო; შემოდით სამეურნეო კოლექტივში მთელი თქვენი ავლადიდებით და რაც მოიწიოთ, ჩემს საწყობში შეინახეთო. კოლმეურნეობას მტერი შიგნითვე გაუჩნდა სოფლის კომუნისტი კულაკის სახით. მოიგონეთ კომუნისტების მიერ ძნების დემონსტრაციული დაწვა, მტკვრის ჯებრების გარღვევა საბჭოს თავმჯდომარის მიერ. (20 ოქტ. «კომუნისტი») და სხვა უთვალავი სკანდალი.

კოლექტივიზაცია სოფლის გაძარცვის აშკარა ფორმაა და ინახავს იმ ქარიშხალს, რომელმაც კომპარტია ბზესავით უნდა გააბნოს.

2. სიმშლილება და პელაგრა დას. საქართველოში.

იმ დროს, როცა საბჭოთა მთავრობა მაღალი დეალეზე ყივის, იქ, ცხოვრების რუხ სინამდვილეში გაუგონარი სიღატაკე და გაუკვირებაა. დამშვიდა მთელი დასავლეთი საქართველო. აბხაზეთიც კი, სადაც მოუსავლობა იშვიათია. წელს ამ დამშევამ ჩვეულებრივი საზღვრები გადალახა და შევიდა იმ ფაზაში, სადაც ცუდი და არა საკმარისი კვება უშუალოდ უქადის ადამიანის ფიზიკურ არსებობას, არღვევს მის სულიერ ჯანმრთელობას და იქცევა ეროვნულ უბედურებად.

ეს დამშევა უცებ ციდან არ ჩამოვარდნილა. ის თანდათან მოამზადა ამ ბოლო წლების მოუსავლობამ, მაგრამ დანაშაული მარტო ბუნებას როდი მიუძღვის. ტყვილა ჰგონია ფილიზე მახარობელს, რომ გვალვასა და ბუნებისა სხვა კაპრიზებს ბოლშევიზმის მტრები საბჭოს დააბრალებენ და ამით პოლიტიკურ კაპიტალს შეიძენენ (8 ოქტ. «კომუნისტი»). წვიმა რომ ციდან არ ჩამოვარდა, ეს კი არაა საბჭოების ბრალი, არამედ ის, რომ ცუდმოსავლიანი წლების რკალში მომარეგების მაგივრად ხალხის მცირე მონაგარი წურბელასავით ამოქაჩეს და ქართული სოფლის მუყაითობას ფსკერი გაადგდინეს. ფილიპეს ბრძნული ფილიპიკები და თაფლიანი პუბლიცისტკია ყველაფერს ბუნებას აბრალებს, აქაო და უპიროვნოა, ვერ შემომედავებაო. მართალია, ბუნებამ ხელი შეუწყო მოუსავლობას, შიმშილობა კი ხელოვნურად და ზოგჯერ შეგნებულად მოამზადა ხელის უფლებამ, რადგან მას არ შეეძლო არ სცოდნოდა, რომ ცუდმოსავლიან წლებში პურის ბეგარის გამო-

ვავება, სხვადასხვა სახელმწიფო სესხებზე იძულებითი ხელის მოწერინება და მეურნეობის ისედაც არა ნორმალურ სვლაში რაღაც ახირებული კოლექტივიზაციის ცეცხლით და მახვილით დაწესება ქვეყანას ასეთ ბოლომდე მიიყვანდა. საოკუპაციო მთავრობამ მანამდე არ გამოიფხიკა ყური, სანამ სიმშრის ახრდილი, სიკვდილის სუდარაში გამოწყობილი, ჰორიზონტიდან ქვევით არ ჩამობრძანდა და ჰირით აღსავსე ხონჩა ხმელი ხელებით არ გამოაწოდა და ასე ვთქვათ შეიქნა საძარცვის დაღვევის სამწუხარო პრესპექტივა. არის ისიც, რომ დასავლეთ საქართველოს შრავალ ადგილას, რაიონების თუ არა, ოჯახების დამშევა მაინც, პოლიტიკური ხოცვა-ჟლეტის შედეგია: რამდენ ოჯახს დაუხვრიტეს მარჩენალი, გადაუსახლეს მუშა ხელი და წართვეს სათესი მინიმუმი.

შიმშილობა ბოლშევიზმის ძღვენია. რადგან მთავრობა ქვეყნის ხარჯზე აყვანილი ინვალიდია, ხოლო ყოველგვარი თაოსნობა აკრძალულია, დამშეულთათვის დახმარების მიწოდება შეუძლებელი შეიქნა. პურის თავისუფალი ყიდვა-გაყიდვის მოსაზრებამ, ქვეყნის საშვალო საუკუნოების კარჩაკეტილობაში ჩაყენებამ და საბჭოთა ფულის ვერტიკალურმა დაცემამ მოსპო ყოველდღიური პურის შექენის შესაძლებლობა და მოსახლეობა პელაგრამდე მიიყვანა (18 ოქტომბრის «კომუნისტი»). ეს ერთი მასიური ავადმყოფობაა, რომელიც სიმშრის ნიადაგზე გაჩნდა, მაგრამ რამდენია სხვა უჩინარი და უარესი.

ამ დროს კბილამდე შეიარაღებულ მთავრობას ოფიციალური მათხოვრის ჩანთა გადაუკიდია და იმავე დამშეულებს შეღირსიტებს: ხომ ხედავ დამშეული ხარ, მომეც თუ რამე გაბადია და გამოგიზოგებო. ეს არის და ეს.

ოქტომბრის «კომუნისტის» თითქმის ყველა ნომრებში ამის შესახებ დიდი ჩოჩოლია. თვითონ ფილიპემ ამ თემანზე ბევრი შაქრიანი წერილები გამოაკოჰობა და შეიძლება ორიოდე გულუბრყვილო მკითხველს აფიქრებინოს, რომ საოკუპაციო მთავრობას საქმის გამოსწორების უნარი აქვს. არა, საბჭოები პარაზიტია, პარაზიტს მარტო ქამის უნარი აქვს. ია.

ს ა ზ ზ ო მ ბ ი ს ძ ვ ე მ ა ნ ა შ ი

სოციალისტური მშენებლობა «მთელის ორთქლის სიჩქარით (ნა ვსენ პარახს)» მიდისო, სთქვა სტალინმა ბოლშევიკურ გადატრიალების 12 წლის თავზე: ხოლო უნდა ნახოთ, რა ჩამორჩენილი დარჩება ევროპა, როდესაც ეს მშენებლობა რუსეთის «ელექტროფიკაციით, ავტომობილიზაციით და ტრაქტორიზაციით» დაგვირგვინდებაო, როდესაც მთელს რუსეთში აღარ დარჩება უავტომობილო მუშა ქალაქად და უტრაქტორო გლეხი სოფლად.

«მთელის ორთქლის სიჩქარით (ნა ვსენ პარახს)»... «მოსკოვის გუბერნიის სოფ. გრანკაში გლეხთა ერთმა ჯგუფმა ცეცხლი წაუქიდა კოლხონს. დაიწვა 192 სახლი და 48 ქალი», იტყობინება 30 წასულ ოქტომ-

ბრის ტელეგრაფი ბერლინიდან. ტელეგრაფი კელნიდან ადასტურებს ამ ამბავს.

გაზ. «ტაიმის» რიგელი კორესპონდენტი ატყობინებს თავის გაზეთს: «29 ოქტომბერს დახვრეტილი იქნა კიდევ მრავალი ხალხი გაუსამართლებლად».

30 ოქტომბერს ბერლინიდან იწერებინან: «მოსკოვიდან გვატყობინებენ, რომ მოსკოვის და ტომსკის რაიონებში დახვრეტილია 15 გლეხი».

ოსტროვსკის რაიონში ცეცხლის წაკიდების საქმის შესახებ იგივე «ტაიმი» იტყობინება, რომ სამ მღვდელს მიესაჯა დახვრეტა.

მირბის, მიაფრენს «მთელი ორთქლი» სტალინის სოციალიზმის სამეფოში, მიჰქრის «ნა ვსეს პარახ» და... ვილაც მუშა მაკევეი გამოდის ერთს ყრილობაზე და, როგორც გადმოგვცემს მოსკოველი «პრავდა» (27 ოქტომბრის ნომერი), ამბობს: «კაპიტალისტურ ქვეყნებში მუშები უკეთ სცხოვრობენ, ვიდრე რუსეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკათა კავშირში». რუსეთის შინაურ მდგომარეობის შესახებ მაკევეს უთქვამს: «ქვეყანა დიდს გასაჭირშია - ჩვენი მრეწველობა იღუპება», და გამოსავალს ხედავს «მართვა-გამგეობის და ხელმძღვანელობის სისტემის შეცვლაში». ამას შემდეგ «სოციალისტურ მშენებლობის» მთელ მუშაობის კრიტიკაზე გადადის და ამბობს: «სოციალისტურ შეჯიბრების წინამდებელი ვარ, რადგან თავის მოტყუილებისა და წაგლეჯის მეტს არას წარმოადგენს». უკმაყოფილოა მაკევეი აგრეთვე კოლხერატივების ეხლანდელ ორგანიზაციით, «მფლანგველების სათარეშოაო». მაკევეს თავის პროგრამაც აქვს, — ბეჭვდითი სიტყვის თავისუფლებაა საჭირო, ვინაიდან უამისოთ «თითქო დაბურულს ტყეში ვიყფებოდეთ, არაფერი ვიცით და ამიტომ არც მსჯელობა შეგვიძლიან ვიქონიოთ».

«პრავდას» სიტყვით, კრება, რა თქმა უნდა, ერთხმად გამოიჯნა ამ გაბედულ მუშისაგან და «სოციალ-პროხვოსტების» წრის ქადაგად გამოაცხადაო.

«დეილ-მეილის» კორესპონდენტი 1 ნოემბერს სწერს თავის გაზეთს: «უკანასკნელ ცხრა დღის განმავლობაში გაუსამართლებლად დახვრეტილი იქნა რუსეთში 112 კაცი, ხლო სასამართლოს წესით—34 კაცი».

იმე ნოემბრის თარიღით უკვე თვით რუსეთის სატელეგრაფო სააგენტო იტყობინება: «ჩერეპოვეცში სელკორ პეტროვის მოკვლის განძრახვისთვის დახვრეტა მიესაჯა «კულაკებს» მიტინს და ვასილიევს».

«ყაზანში აქტივისტ პერეპელას მოკვლისთვის დახვრეტა მიესაჯა მამა-შვილს პლოტნიკოვებს».

— «სოფ. შუსტოვში დახვრეტა მიესაჯა «კულაკ ბელოვს».

3 ნოემბერს ლონდონიდან იტობინებინან, რომ «თანახმად მოსკოველ გაზეთების ცნობებისა, გუშინდელ დღის განმავლობაში მხოლოდ დახვრეტილია «საგლეხო ფრონტზე» 15 კაცი კოლხონებისათვის ცეცხლის წაკიდებისა და მკვლელობისათვის».

ასე მიეკანება საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკათა კავშირი სოციალურ სამოთხისაკენ, სტალინის მოწმობით, უფსკრულისაკენ—ჩვენის აწრით.

«ნა ვსეს პარახ», ამბობს სტალინი, მაგრამ ჯერ კიდევ ჰქონია უზურში «პარები», შენადლება უფრო დიდის სიჩქარის მიღწევა... უფსკრულში გადასახება.

17 ნოემბერს «სედნი ტაიმს» ატყობინებენ მოსკოვიდან:

«სამოსამართლო მოღვაწეთა ყრილობაზე კრილენკომ განაცხადა, მთავრობა აშნადებს ახალ დეკრეტს, რომელიც კავშირის სატუსალო სისტემაში ნამდვილ რევოლუციას მოახდენსო. ყველა დამნაშავენი, რომელთაც სამ წელზე ნაკლები ცხე აქვთ მისჯილი, გადაცემულ იქნებიან შინაგან საქმეთა კომისარიატისაგან გ. პ. უ-ს განკარგულებაში, რომელიც «შრომის ბანაკებში» გამოიყენებს მათ. ეს «შრომის ბანაკები» იმ პრინციპებზე იქნებიან აგებული, რომ თვითონ შეინახონ თავიანთი თავი, ე. ი. ამ ბანაკებში თავმოყრილმა დამნაშავეებმა თავიანთის შრომით უნდა გაისტუმრონ ბანაკების შესანახი ყველა ხარჯები და ამრიგად შექმნან სახელმწიფო ბიუჯეტში უშველებელი ეკონომია». ამ რეფორმის გამოცხადებისათანავე 135 ციხე უნდა გაუქმდეს თურმე.

ჩვენ დიდი ხანია ვიცით, რომ რუსეთში გამეფებულია ძალადობის რეჟიმი, ოღონდ ზემოხსნებული დეკრეტი ბატონ-ყმობის სისტემის ნამდვილი აღდგენა და დაკანონება იქნება, ჯერ-ჯერობით ყმობა მოელის იმათ, ვისაც სამ წელიწადზე ნაკლები ციხე აქვთ მისჯილი, მაგრამ იქ, სადაც კანონმდებლობაც «ნა ვსეს პარახ» სწარმოებს, მალე ამ რეჟიმზე ყველა დანარჩენ დამნაშავეთაც გადიყვანენ, და რაკრ ისიც ვიცით, თუ რას ნიშნავს ბოლშევიზაში «დანაშაული» და «დამნაშავე», ადვილი წარმოსადგენია, რა მოკლე ხანში უნდა ველოდეთ «ბატონ ყმობის» სისტემის განმტკიცებას...

«ნა ვსეს პარახ», «ნა ვსეს პარახ!» მიიჩქარის მოსკოველი დიქტატურა, და ჩვენც მეტი აღარა დავგრჩენია: შესაფერისად გზა დაულოცოთ—წინ წყალი და უკან მეწყერი», თქო.

ხენ.

საქართველო სავითხო

პაგიფისტების კონგრესზე

ბ. შავიშვილის მიმართვისა გამო პაციფისტების საერთაშორისო კონგრესმა ათინაში გამოიტანა შემდეგი რეზოლუცია:

მოისმინა რა მოთხოვნა ჩარევისა ქართველი ხალხის სასარგებლოდ და მიწოდება თანაგრძნობის ხელახლად გამოცხადების იმ ერების მიმართ, რომელთაც განაგებენ არა ხალხის თავისუფალის ნებისყოფით არჩეული მართველობანი, არამედ დიქტატორები, კონგრესი გამოსთქვამს სურვილს, რომ რაც შეიძლება მოკლე დროში და დაუბრკოლებლად განხორციელდეს ყველა სახელმწიფოში პრინციპი ეროვნული თვითგამორკვევისა.

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ა მ გ ე მ ბ ი

რ ა ს ს ფ ი რ ი ნ ე ბ ო ლ შ ე ვ ი კ ი მ ზ ი

ტფილისში გარდაიცვალა მათემატიკის პროფესორი ან. რაზმაძე, ერთი დამაარსებელთაგანი ქართული უნივერსიტეტისა. განსვენებული ავად იყო მუცლის ტიფით.

— დასავლეთ საქართველოში დიდი გაქირვება და სიმშობაა. საქმელის ნაკლებობისა გამო გახშირდა ავადმყოფობა პელაგრა (კუჟნაწლეუვის, კანის და ნერვების ავადმყოფობა), ანხილოსტოზი და სხვ., რომელთაც თითქმის მასიური ხასიათი მიიღეს. ბევრგან მოსახლეობის ნახევარია დაავადებული. თვით ბოლშევიკების ოფიციალურ ცნობით, დასავლეთ საქართველოში «აღარაა სიმინდი, აღარაა ყურძენი, ხილი, ბოსტნეულობა, აღარაა ჩალაც საქონლის საკვებად.»

— თუ დასავლეთ საქართველოში უკვე სიმშობაა, აღმოსავლეთ საქართველოს მოელის ახლო მომავალში: მოსკოვის დავალებით ქართველმა კომუნისტებმა ქართლ-კახეთში მთლად გააძარცვეს გლეხობა, ძალით ჩამოართვეს პური და დაუტოვეს «სიმშობის ლუკმა». გაწითილი გაყვირიან ას ათი პროცენტით შევასრულეთ დავალებათ. ეს უსირცხვილო განცხადება ადამიანურ ენაზე რომ გადავიღოთ, ნიშნავს ქართველი მასის ასათი პროცენტით დაღარიბებას!

— გაზ. «კომუნისტში» დაბეჭდილია: ვაქრობის სახ. კომისარიატის რწმუნებულის სამართველომ შეიმუშავა ფართლის განაწილების ახალი წესი, რომლის მიხედვით I ნომბრიდან ფართალი გაუნაწილება მხოლოდ მშრომელ მოსახლეობას. ფართლის განაწილება იწარმოებს პურის წიგნაკების მიხედვით.

— ამავე კომისარიატის რწმუნებულის სამართველოში შესდგა კოლპერატიულ ორგანიზაციათა წარმომადგენელთა თათბირი, რომლის დადგენილებით ნომბერში შაქარი მიეცემა მშრომელ მოსახლეობას სულზე რვაასი გრამი.

— სურსათ-სანოვანის სიმცირესთან ერთად ტფილისის ამ წამთარში მოელის შეშის უქონლობაც, რადგან რკინის გზა ვერ ახერხებს შეშის მოზიდვას.

ნ. ყ ო ლ დ ა ნ ი ა ს ლ ე ქ ი ც ი ა .

კვირას ნომბრის 17 «სოხ. სავ.»-ის დარბაზში მრავლად თავმოყრილ ქართველ ახალგაზდობას ბ. ნ. ყორდანიამ წაუკითხა მეორე მოხსენება «ფეფხის ტყაოსნის» შესახებ. ეს მეორე ნაწილი კიდევ უფრო საინტერესო იყო, ვიდრე პირველი. მომხსენებელი ახლაც რუსთველის ნაწარმოების სრულს ორიგინალობას იცავდა და ამას ასაბუთებდა ერთის მხრით «ფეფხ. ტყ.»-ის და მეორეს მხრით იმ დროინდელ საქართველოს ამბების, სოციალურ-პოლიტიკურ წყობილების და თვით სახელების შედარებით. დამსწრე ახალგაზდობამ მსურვალე მადლობა გადაუხადა მომხსენებელს და სთხოვა, რომ მომავალშიაც არ მოაკლოს მას ასეთი ლექციები.

კიდევ ერთი აღსარება და ძველი შეცდომის მონანიება! ყოფილი კომუნისტი და «კუმანიტეს» ყოფილი ადმინისტრატორი კრემიე თავის ესლახან გამოსულ წიგნში ამბობს: «კომუნისტი არაა მარტო საბავშვო ავადმყოფობა იმითი, რომელთაც სწადიათ საოცნებო თანაწილობა. იგი ამავე დროს ერთგვარი კოლექტიური სულიერი ვანცდაა, რომელიც ომის შემდეგ წარმოშვა იმ აზრმა, რომ თითქოს გაკოტრდა თანამედროვე კულტურა». კრემიე აგვიწერს 1919-20 წ. საფრანგეთის მუშათა ახალგაზდობის სულიერი განწობილებას, რომლის წრიდან თვითონაა გამოსული: «ომიდან გამოსულ ახალგაზდობაში გაჩნდა რეაქცია იმათ წინააღმდეგ, რომელთაც აბრალებდნენ გამოვლილ უბედურებას. იმ დროს ბევრს პატიოსან ადამიანს მიაჩნდა კომუნისტი, როგორც რადიკალური საშუალება ურთიერთობის მოსაწესრიგებლად ადამიანთა და ერთა შორის. ამგვარად შესდგა პარტია, რომელიც აერთებდა ცხოვრებისაგან გამწარებულებს, მეოცნებეებს, გულწრფელ პაციფისტებს და, რასაკვირველია, ვულგარულ პოლიტიკანებს. ყველა ამათ აკავშირებდა ერთი რწმენა. რომელსაც მარქსიზმთან არაფერი ჰქონდა საერთო. ისინი ფიქრობდნენ, რომ ომმა რამე უნდა მოგვცეს სოციალურ დარგში... გასაკვირი არაა, რომ მათი იმედი არ გამართლდა.»

პარიზის თვითმართველობის ექვსმა კომუნისტმა ხმოსანმა (მრჩეველმა) შემდეგი განცხადება გამოაკრა ქუჩაში: «საზიზღრობამ, რომელიც უფრო და უფრო ხშირდება ჩვენს პარტიაში, გვაიძულა პროტესტით მიგვემართა ცენტრალურ კომიტეტისათვის. ეს წერილი წაკითხულ იქნა 11 ნომბრის სხდომაზე. მეორე დღეს გაზ. «კუმანიტემ» კონტრ-რევოლიუციონერები გვიწოდა. პარტიის ზედაფენები ცდილობენ ჩვენი საქციელის ნამდვილი მიზნის დამალვას და ლანძღვა-გინებას მიმართავენ. პარტია სტოვებს თავის რიგებში პოლიციელებს და პროვოკატორებს და ერეკება თავის საოკეთესო წარმომადგენლებს. პარტია ჰკარგავს ნიადაგს დიდ სამრეწველო ცენტრში. პროვინციაში მისი ძალა დნება, პარიზში ცარიელდება უჯრედები».

შეცდომის გახწორება.

«დამ. საქ.» № 44 მოთავსებულ პოლიტიკურ გადასახლებულთათვის შემომწირველთა სიაში გამოცხადებულია ასი ფრანკის შემომწირველად ვ. ქარცივაძე, უნდა იყოს ვ. ქავთარაძე.

Rédaction et Administration.

M. J. GOBETCHIA

7, rue de Ponthieu, 7. Paris.